# საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1918 წლიდან

www.sak.ge • ელ. ფოსტა: sak@sak.ge

№102 (9782) 2024 წლის 6 სექტემბერი. პარასკევი

ფასი 1 ლარი




3

## ნაცები ისევე ატყუებენ სააკაშვილს, როგორც სტალინი ატყუებდა საავადმყოფოში მყოფ ლენინს!





ყოჩაღ, პრემიერო!

2

## ნაცარში ჩავარდნილები...



5

## ერეკლე მეორის აჩრდილმა საქართველო აალელვა...



6

## რამდენიმე სურათი, ანუ ეპიზოდი ენჯეოშნიკთა ცხოვრებიდან

## წმენდა თუ გადატვირთვა?!



8

## რა ხდება უკრაინის მთავრობაში?





## „ჯიუტი თხები“ ჯორზე გადაჯდნენ!

### გიგაურების და ლომჯარიების წინასაარჩევნო მახინჯი სვლა



4

## რუსულ ჰაკერულ ჯგუფზე ინფორმაციის სანაცვლოდ



11

### ჯილდოდ 10 მილიონი დოლარი დააწესეს

## ზურაბ ზურაბიანის ვერცხლი

**პარალიმპიადაზე საქართველომ მეხუთე მედალი მოიპოვა.**

24 წლის პარაძიუდოისტი ზურაბ ზურაბიანი ფინალში გავიდა და პარალიმპიადის ვიცე-ჩემპიონის ტიტული დაიმსახურა.

ტრადიციისამებრ ახალგაზრდას გამარჯვება ქვეყნის პრემიერ-მინისტრმა ირაკლი კობახიძემ, პარლამენტის თავმჯდომარემ შალვა პაპუაშვილმა და თბილისის მერმა კახა კალაძემ მიულოცეს.



---

გუშინ ბათუმში გაიმართა 21 წლამდელთა ევროპის 2025 წლის ჩემპიონატის შესარჩევი მატჩი ფეხბურთში. საქართველოს ნაკრებმა დამაჯერებლად დაამარცხა მოლდოვის ნაკრები – 3:0.

ყოჩაღ, ბიჭებო! მორიგ გამარჯვებებს გისურვებთ!



## როცა პრემიერი ცამდე მართალია

# ნაცარში ჩავარდნილები მალე საფლავში გაუჩინარდებიან!

## ირაკლი კობახიძე: თუ პოლიტიკური პარტია არის ანტისახელმწიფოებრივი, ანტიკონსტიტუციური, ჩვენი უმთავრესი პასუხისმგებლობაა, ასეთი პარტიები არ დარჩნენ პოლიტიკაში!

**– ერთმანეთის მიყოლებით იკრძალება პარტიები უკრაინაში,მოლდოვაში, მაგრამ ამასთან დაკავშირებით არის დადებითი შეფასებები, მათ შორის ევროკავშირის მხრიდან. ეს არის ჩვეულებრივი პროცესი. თუ თავისი შინაარსით პოლიტიკური პარტია არის ანტისახელმწიფოებრივი, ანტიკონსტიტუციური, რა თქმა უნდა, პასუხისმგებლობაც კი არის ეს ჩვენი სახელმწიფოს და საზოგადოების წინაშე, რომ ასეთი პოლიტიკური პარტიები არ დარჩნენ პოლიტიკურ სისტემაში. ჩვენ მართალია, ვახერხებთ არსებითად რისკების პრევენციას, მაგრამ 9 წლის განმავლობაში კრებსითი „ნაცმოძრაობა“ არ ასვენებდა ამ ქვეყანას და უამრავი დანაშაული ჩაიდინეს და ეს დანაშაულები ძალიან მძიმე ფასად დაუჯდა ჩვენს ქვეყანას. ეს იყო ადამიანების მკვლელობა. რომ ავიღოთ სტატისტიკა, ციხეებში წელიწადში საშუალოდ ასზე მეტ ადამიანს კლავდნენ. ასზე მეტი ახალგაზრდა პირდაპირ ქუჩაში ჩაცხრილეს. ქუჩაში კლავდნენ ადამიანებს, აღარაფერს ვამბობ ბიზნესის რეკეტზე, რასაც ასევე უამრავი ადამიანის სიცოცხლე, ჯანმრთელობა და კეთილდღეობა შეეწირა. მათ მთავარ დანაშაულს შეეწირა ჩვენი ტერიტორიების 20%, რომელიც არის დროებით დაკარგული და ეს დანაშაული ჩაიდინა სწორედ ამ პოლიტიკურმა ძალამ. ამ ომს და მათ ავანტიურას შეეწირა 400-ზე მეტი ადამიანი, ჯარისკაცი და სამოქალაქო პირი, 30 000 ადამიანი დღესაც დევნილობაში ცხოვრობს მათი დანაშაულის გამო. მერე რასაც აკეთებდნენ უკვე ოპოზიციის რიგებიდან, ესეც იყო მუდმივად ქვეყნის განვითარების შეფერხების მცდელობა. რასაც აკეთებდნენ 9 წლის განმავლობაში ხელისუფლებაში, იგივე რეჟიმში მოქმედებენ დღეს ოპოზიციაში, უბრალოდ, მათ იგივე რესურსი აღარ აქვთ, რაც 9 წლის განმავლობაში ჰქონდათ“, – განაცხადა პრემიერმა „იმედი LIVE“-ში საგანგებო გადაცემიდან.**

**მთავრობის მეთაურის თქმით, ამას ითვალისწინებს ქართული კანონმდებლობა, მათ შორის კონსტიტუცია.**

„როცა აშკარად, გამოკვეთილად ანტისახელმწიფოებრივ ძალასთან გვაქვს საქმე, იქ ჩვენი პასუხისმგებლობაა, რომ ყველა სამართლებრივი ზომა მივიღოთ იმისთვის, რომ ეს პოლიტიკური ძალა არ დარჩეს პოლიტიკურ სისტემაში. ამ ყველაფერს ითვალისწინებს ჩვენი კანონმდებლობა, მათ შორის კონსტიტუცია. კონსტიტუციური მექანიზმი არის პოლიტიკური პარტიის აკრძალვა და შესაბამის დეპუტატებსაც შეიძლება ჩამოერთვათ მანდატები. ამასაც ითვალისწინებს საქართველოს კონსტიტუცია. ამასთან დაკავშირებით არსებობს ევროპული პრაქტიკა. არსებობს მემკვიდრე პარტიის ცნება და მემკვიდრე პარტიაც ისევე ექვემდებარება ევროპული პრაქტიკით აკრძალვას, ისევე, როგორც დედა პარტია. თუ ისინი აკრძალვის შემდეგ „ნაცმოძრაობის“ წიაღში შექმნიან ახალ პარტიას, ის ექვემდებარება ზუსტად ისე აკრძალვას, მარტივი პროცედურის საფუძველზე, როგორც იკრძალება ძირითადი პარტია. აქ იურიდიული მექანიზმები არსებობს. შესაბამისად, ჩვენთვის პრინციპული ამოცანაა ის, რომ არც ერთ პოლიტიკურ ძალას, ამ შემთხვევაში საუბარია კრებსით „ნაციონალურ მოძრაობაზე“, არ მიეცეს ანტისახელმწიფოებრივი საქმიანობის გაგრძელების საშუალება. ეს არის ჩვენი პასუხისმგებლობა ჩვენი სახელმწიფოს წინაშე. თუ ვინმეს ამ ქვეყანაში უნდა მუდმივად არაჯანსაღი ფონის შენარჩუნება, ამ ე.წ პოლარიზაციის, ჩაკეტილი წრის შენარჩუნება, მათთვის მთავარი უნდა იყოს „ნაცმოძრაობის“ შენარჩუნება პოლიტიკურ სისტემაში, მაგრამ ეს არ არის ჩვენი ქვეყნის ინტერესებში. არაკეთილმოსურნეებს სურთ, რომ „ნაცმოძრაობა“ დარჩეს პოლიტიკურ სისტემაში, იმისათვის, რომ ამ ქვეყანაში არასოდეს შედგეს ჯანსაღი პოლიტიკური სისტემა, ჩვენ გვაქვს განსხვავებული ინტერესი, რომ ერთხელ და სამუდამოდ ჩამოყალიბდეს ჯანსაღი პოლიტიკური და დემოკრატიული სისტემა. ჩვენ ვერ ვიმოქმედებთ იმ ადამიანების მოწოდებებიდან გამომდინარე, რომელთაც არ სურთ კარგი ამ ქვეყნისთვის. ჩვენ უნდა ვიმოქმედოთ ჩვენი ეროვნული ინტერესების შესაბამისად“, – განაცხადა პრემიერმა.

* * *

**ორგანიზაცია „სირცხვილია“ იყო იმ აქციების ერთ-ერთი მთავარი ორგანიზატორი, რომელიც „გამჭვირვალობის კანონს“ რაცხავდა რუსულ კანონად და საბოლოო ჯამში, „სირცხვილიამ“ აღიარა ის, რომ არავითარი რუსული კანონი ეს არ არის!**

როგორც მთავრობის მეთაურმა აღნიშნა, 450-ზე მეტმა ორგანიზაციამ მიმართა იუსტიციის სამინისტროს რეგისტრაციის პირველადი განაცხადით, რაც არის კიდევ ერთი მტკიცებულება იმისა, რომ კანონი არის აბსოლუტურად სუფთა და გამართული იურიდიული თვალსაზრისით, არ ახლავს არავითარი სტიგმატიზაცია და შეზღუდვები.

„სირცხვილიამ“ აღიარა, რომ არავითარი სტიგმატიზაციის პრობლემა არ ახლავს ამ კანონს და აღიარეს, რომ არავითარ ტვირთს არ აკისრებს ორგანიზაციებს, არავითარ შეზღუდვებთან არ არის დაკავშირებული და ა.შ. ეს აღიარა „სირცხვილიამ“, მთავარმა ორგანიზატორმა იმ აქციებისა, რომელიც იმართებოდა ამ კანონის წინააღმდეგ. როგორ გაგრძელდა პროცესები, ესეც ნახეთ – წავიდა ლიბერალურ-ფაშისტური ბულინგი იმ ორგანიზაციაზე, რომელიც თვითონ გამოირჩევა, პირველ რიგში, სწორედ ლიბერალური ფაშიზმით, ეს არის ორგანიზაცია „სირცხვილია“ და თვითონ ვერ გაუძლო იმ მეთოდს, რომელსაც აქტიურად იყენებს ხოლმე. დაამტკიცა, რომ მართლაც სირცხვილია ის ორგანიზაცია, რომელსაც „სირცხვილია“ ეწოდება. ძალიან დიდი სირცხვილია სინამდვილეში ეს ორგანიზაცია ჩვენი საზოგადოებისთვის და ის ორგანიზაცია, რომელიც საზოგადოების უმრავლესობისთვის იყო აქამდე სირცხვილი, დღეს სირცხვილი გახდა თავისივე პარტიული ამხანაგებისთვის - „კოლექტიური ნაცმოძრაობისთვის“.

საარჩევნო დამკვირვებლებიც კი, რომლებიც უნდა იყვნენ უმაღლესი სტანდარტის მიუკერძოებელი ორგანიზაციები, პირდაპირ გამოდიან მაპოლარიზებელი და „ქართული ოცნების“ საწინააღმდეგო მესიჯებით, რეალურად, ყოველგვარი ზღვარი წაშლილია NGO-ებსა და პოლიტიკას შორის!

**მთავრობის მეთაურის შეფასებით, საუბარია მდიდარ NGO-ებზე, რომლებიც არიან პოლარიზაციის ერთ-ერთი მთავარი წყარო ქვეყანაში.**

„ისინი პირდაპირ გამოდიან კამპანიით, გადახედეთ მათ განცხადებებს და „ფეისბუქ“-გვერდებს, ისინი არიან პოლარიზაციის ერთ-ერთი მთავარი წყარო ამ ქვეყანაში და პირდაპირ აწარმოებენ კამპანიას. მათ შორის არიან ორგანიზაციები, რომლებსაც ჰქვიათ საარჩევნო სადამკვირვებლო ორგანიზაციები. საარჩევნო დამკვირვებლებიც კი, რომლებიც უნდა იყვნენ უმაღლესი სტანდარტის მიუკერძოებელი ორგანიზაციები, პირდაპირ გამოდიან მაპოლარიზებელი და „ქართული ოცნების“ საწინააღმდეგო მესიჯებით. ყველანაირი ზღვარი წაშლილი აქვთ. რაზეა საუბარი, როცა 2022 წელს პირდაპირ სცენაზე ავიდნენ, მთავრობის გადადგომა მოითხოვეს და საკუთარი მონაწილეობით ახალი მთავრობის ფორმირება. რეალურად, ყოველგვარი ზღვარი წაშლილია NGO-ებსა და პოლიტიკას შორის, საუბარი მაქვს მდიდარ NGO-ებზე. ასეთ ვითარებაში მათ არც ერთ ნაბიჯს უკვე ფასი აღარ აქვს. უკვე ყველამ გაიგო, რაც შეიძლება მანამდე ასე მკაფიოდ გასაგები არ იყო, რომ სინამდვილეში ეს NGO-ები არიან კოლექტიური „ნაცმოძრაობის“ პატარ-პატარა დანაყოფები“.

დღეს ჩვენი რეიტინგი არის, დაახლოებით, 60 %, რაც ძალიან კარგად იცის ყველამ; ეს რეალურად არის ბოლო გაბრძოლება და ყველაფერს გააკეთებენ იმისთვის, რომ რაღაცნაირად ხალხის ნების წინააღმდეგ სცადონ ხელისუფლების შეცვლა, მაგრამ ამის არავითარი რესურსი არ აქვთ!

* * *

**კითხვაზე, რომელიც დასავლეთის ყოფილი მაღალჩინოსნებისა თუ მოქმედი თანამდებობის პირების მხრიდან, არჩევნების ლეგიტიმაციის საკითხთან დაკავშირებით გაჟღერებულ სცენარს შეეხებოდა, მთავრობის მეთაურმა აღნიშნა, რომ წინასწარ არის დაწერილი ზუსტად იგივე სცენარი, რაც ქვეყანამ 2020 წელს გაიარა და ეს სცენარიც ჩავარდნისთვის არის განწირული!**

„ისინი საუბრობენ არა იმაზე, რომ, თუ „ოცნება“ გაიმარჯვებს არჩევნებში, არამედ იმაზე, რომ როცა „ოცნება“ გააყალბებს არჩევნებს, ეს არის მათი მესიჯი. რეალურად აქედან ჩანს, რომ წინასწარ არის დაწერილი ზუსტად იგივე სცენარი, რაც გამოვიარეთ 2020 წელს. გახსოვთ, მაშინ რა ხდებოდა, ISFED-მა როგორ გააყალბა „პივიტი“, როგორ გააყალბეს „ენჯეოებმა“ ერთად სხვა მონაცემები, მაგრამ ჩაუვარდათ ეს სცენარი და ის, რაც ჩაგივარდა 4 წლით ადრე, ბუნებრივია, ასევე ჩავარდნისთვის არის განწირული 4 წლის შემდეგ. ეს სცენარი შეიძლება არსებობდეს. ეს რეალურად არის ბოლო გაბრძოლება და ყველაფერს ჩადებენ იმისთვის, რომ რაღაცნაირად ხალხის ნების წინააღმდეგ სცადონ ხელისუფლების შეცვლა, მაგრამ ამის არავითარი რესურსი არ აქვთ, ვინაიდან ხალხი არის „ქართული ოცნების“ მხარეს!

**5.09.2024**

## შალვა პაპუაშვილი: ვეუბნებოდი საჯაროდ — შედეგი ნული!




**ხელისგულზე იდო, რომ ნაცმოძრაობის და ენჯეოების მიერ ზიზღის და სიძულვილის ჯერ ნორმალიზება, შემდეგ კი საქებარ საქმედ ქცევა, აუცილებლად მიგვიყვანდა ასეთ ტრაგიკულ შემთხვევამდე, – ასე ეხმიანება საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე შალვა პაპუაშვილი „ქართული ოცნების“ წევრის ერმილე გიგიაძის გარდაცვალებას, რომელიც წყალტუბოში ოპოზიციის აქტივისტის როლანდ ნუცუბიძის მიერ მძიმე სიტყვიერი შეურაცხყოფის შემდეგ გარდაიცვალა.**

როგორც პარლამენტის თავმჯდომარე აღნიშნავს, საჯარო განცხადებების მიუხედავად, რომ დონორებს გამოეჩინათ სიფრთხილე და გამიჯვნოდნენ ზიზღის და ძალადობის კამპანიას, უშედეგო აღმოჩნდა. მისი თქმით, ტრაგედია უკვე მოხდა და ამას ვეღარაფერი გამოასწორებს.

...ვეუბნებოდი პირად შეხვედრებზე – შედეგი ნული. ვაცხადებდი საჯაროდ – შედეგი ნული. ყველაფერი გაატარეს – „მე ვესროლე“ კამპანიაც, შუბლში 84 ტყვიის დაპირებაც, სატელეფონო ტერორიც, ოჯახის წევრების ბულინგიც, მონების ძახილი და შემდეგ სოცქსელებში ამით კეკლუცობაც. აბსოლუტურად ყველაფერი.

ტრაგედია მოხდა და ამას უკვე ვეღარაფერი გამოასწორებს!



# ნაცები ისევე ატყუებენ სააკაშვილს, როგორც საავადმყოფოში მყოფ ლენინს სტალინი ატყუებდა!




**კლინიკა „ვივამედში“ ყოფნის მესამე წელს მიხეილ სააკაშვილმა „ნაცმოძრაობის“ მართვის პასუხისმგებლობის საკუთარ თავზე აღება სცადა, მაგრამ აღმოაჩინა, რომ მის თანაპარტიელებს მისი ლიდერობა სულაც არ ხიბლავთ. თანაპარტიელებმა ყოფილი პრეზიდენტი ფეისბუკის, სოფო ჯაფარიძისა და დედამისის ამარა დატოვეს და მას იმ ინფორმაციასაც უმალავენ, რაც მისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია.**

„ნაცმოძრაობასა“ და ლიდერს შორის კომუნიკაციის დარღვევა ყველაზე ცხადად მაშინ გამოჩნდა, როცა სააკაშვილს იმედი გადაუწურა ამერიკის საელჩომ და აცნობა, რომ მცდარი იყო მის ხელთ არსებული ინფორმაცია, თითქოს საქართველოში ჩამოსულმა სენატორმა ჯინ შაჰინმა და აშშ-ის წარმომადგენლობათა პალატის სადაზვერვო კომიტეტის თავმჯდომარემ მაიკ ტენერმა სააკაშვილის საკითხზე ისაუბრეს.

ხიდჩატეხილობა სააკაშვილსა და ნაცებს შორის „გირჩის“ წევრმა ალექსანდრე რაქვიაშვილმაც შენიშნა და აღნიშნა, რომ „ნაცმოძრაობაში“ ვიღაცას გამბედაობა არ ყოფნის, მიშას პირდაპირ უთხრას თუნდაც ის, რომ კონგრესმენებთან შეხვედრისას მის საკითხზე საუბარი არ ყოფილა და სააკაშვილს არასწორ ინფორმაციას აწვდიან.

სააკაშვილის ირგვლივ შექმნილი ვითარება ადასტურებს, რომ სწორედ საკუთარ თანაპარტიელებს ჰყავთ სააკაშვილი შიდაპატიმრობასა და ინფორმაციულ ვაკუუმში, მას ვერ უბედავენ სიმართლის თქმას და იმასაც უმალავენ, რომ უცხოეთში მისი საკითხი არც აინტერესებთ.

ანალიტიკოსი **ედიშერ გვენეტაძე** ფიქრობს, რომ მიშას „შესტიორკებმა“ აბსოლუტურად ყველაფერი მოახსენეს სააკაშვილს, უთხრეს ისიც, რაც ხდებოდა ბოლოდროინდელ შეხვედრებზე. უბრალოდ, სენატორ შაჰინის დამოკიდებულებაში გამოჩნდა ტაქტიკა სააკაშვილის მიმართ.

**„ჩვენს სტრატეგიულ პარტნიორებს, რომლებიც დღემუდამ ფიქრობენ ჩვენზე, ძალიან დიდი ინფორმაცია აქვთ ჩვენი ქვეყნის შესახებ, მათ ჰყავთ საქართველოში დაზვერვის საშუალებები და ჩვენზე მეტად იციან საქართველოში შექმნილი სიტუაციის შესახებ. მათ ძალიან კარგად უწყიან, რომ მიშა სააკაშვილის, „ნაციონალური მოძრაობის“ და, ზოგადად, ამ ოპოზიციური პარტიების, სინამდვილეში კი, მათ მიერვე შექმნილი მეხუთე კოლონის რეიტინგი ნულს ქვემოთაა და პულსი არ ესინჯება. ამის მიუხედავად, სულითა და გულით უნდათ საქართველოში ხელისუფლების შეცვლა, რათა საქართველო ჩააბან უკრაინაში მიმდინარე ომში, რომელიც ზოგიერთებს ეგონათ, რომ მთავრდებოდა, მაგრამ ყველა ხედავს, რომ არ მთავრდება“,** – აცხადებს ედიშერ გვენეტაძე for.ge-სთან საუბრისას.

მისივე განმარტებით, უცხოელები საქართველოში აკეთებენ ტრიუკს, ეს არის ტაქტიკური სვლა, რადგან მათ კარგად იციან, რომ ქართველ ამომრჩეველს, ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით, ეზიზღება სააკაშვილი. ამიტომაც შაჰინმა აგვიხსნა, სააკაშვილის გასათავისუფლებლად და მისი „აპეკუნობისთვის“ საქართველოში არ ჩამოვსულვართ.

„ძალიან კარგად გვახსოვს ამას წინანდელი ამერიკის შეერთებული შტატების ორპარტიული აქტები, სადაც საუბარი იყო სააკაშვილის „წამებაზე“, ვითომც არასათანადოდ მოპყრობაზე, მის „უკანონო პატიმრობაზე“, მაგრამ ახლა მათ შეხედეს, რომ ამ ტრიუკებმა არ გაჭრა. გარდა ამისა, მათთვის დიდი დარტყმა იყო, როცა სტრასბურგის სასამართლომ მიიჩნია სააკაშვილი დამნაშავედ და უარყო მისი სარჩელი, ამის შემდეგ რაღა დარჩენოდათ უცხოელებს? მათ შეცვალეს ტაქტიკა იმის შესახებ, თითქოს სააკაშვილს ისინი ყურადღებას არ აქცევენ, სინამდვილეში, სააკაშვილი მათ სჭირდებათ. თუკი ამ ხელისუფლებას გადატრიალებით შეცვლიან, ამ შემთხვევისთვის ისევ სააკაშვილი, ისევ მერაბიშვილი, ისევ კეზერაშვილი და მათი მსგავსნი უნდათ, მოიყვანონ. სხვა რა უნდა ვიფიქროთ, როდესაც იმავე შაჰინის სამშობლოდან ლაპარაკობენ ე.წ. ქოლცენტრების შესახებ, თითქოს „ქართულ ოცნებას“ აქვს ქოლცენტრები შექმნილი და თითქოს შავი ფული ტრიალებს. ეს მაშინ, როდესაც ქოლცენტრების საქმეზე ბრალი დამტკიცებული აქვს კეზერაშვილს, რომელსაც რატომღაც დაასეირნებენ ევროპის ერთი ქალაქიდან მეორეში, ოკეანის გაღმაც დაუბრკოლებლად დაბრძანდება. ამიტომ ეს არის ბლეფი, თითქოს მათ არ აინტერესებთ სააკაშვილი, ამით სურთ, წამოიკიდონ ქართველი ამომრჩეველი, მაგრამ დარწმუნებული ვარ, ეს არამც და არამც არ მოხდება, რადგან ქართველი კაცი მიხვდა, რომ ჩვენი თავი ჩვენადვე უნდა გვეყუდნოდეს“, – აღნიშნა ედიშერ გვენეტაძემ.

* * *

**ანალიტიკოსი რამაზ საყვარელიძე იზიარებს იმ აზრს, რომ სააკაშვილს თანაპარტიელები სიმართლეს უმალავენ, მაგრამ ისიც საკითხავია, რატომ უნდა უთხრან ყოფილ პრეზიდენტს სიმართლე? რომ შემოტრიალდეს მიშა და დათათხოს ყველანი?! ვის უნდა ახლა მიშას მხრიდან შეურაცხყოფის მოსმენა?!**

„ცუდი ამბის მოსმენა არავის აწყობს. არის კიდევ ერთი ფაქტორიც, მიშა უკვე ხელის შემშლელი ხდება ოპოზიციური სპექტრისთვის იმ მხრივ, რომ უკვე მომწიფდნენ ამ სპექტრში ახალი ლიდერები და ადგილი აღარ არის მიშასთვის“, – აცხადებს for.ge-სთან საუბრისას რამაზ საყვარელიძე და, შეკითხვის საპასუხოდ, ვის ხედავს ამ სპექტრში ლიდერად, გვპასუხობს: „ლიდერის მეტი რა არის, სულ ყველა „ლიდერი“ არ არის? ყოველ შემთხვევაში, ცდილობენ ლიდერობას. თუ გამოუვათ ეს ლიდერობა, მაშინ ენდომებათ თვითონვე იყვნენ ხელისუფლების სათავეში და სულაც არ ენდომებათ მიშა, ხოლო თუ მიშა აღმოჩნდა გინდ თავისუფალი, გინდ ძალის მქონე, როგორიც ოდესღაც იყო, ის არ მიუშვებს სხვა ოპოზიციურ პარტიებს ხელისუფლების სათავეში. ის ისე დაალაგებს მოვლენებს, როგორც თვითონ აწყობს“.

**იმის დასტურად, რომ თანაპარტიელები საკუთარ ლიდერს ატყუებენ, რამაზ საყვარელიძე ერთ ფაქტსაც იხსენებს, რომ სტალინიც ასე ატყუებდა ლენინს საავადმყოფოში და ყალბ ოქმებს უგზავნიდა, მიუხედავად იმისა, რომ ლენინი უკვე იმ მდგომარეობაში იყო, ვერაფერს დაუშავებდა. უბრალოდ, სტალინი ფიქროდა, რატომ გავირთულოთ ცხოვრებაო. ამიტომ ნუ გაგვიკვირდება, რომ ჩვენი ოპოზიციაც ცდილობდეს, ცხოვრების გართულებას თავი აარიდოს და სააკაშვილის გარეშე ისურვოს ხელისუფლების სათავეში მოსვლა.**

# „შეაჩერეთ კანონი“ ან სათითაოდ უყიდეთ ამ არასამთავრობოებს ყველაზე დიდი მახათი!

## სამშვიდობო თემატიკაზე მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციების ნაწილი აცხადებს, რომ, თუ „უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ“ კანონის მოქმედება არ შეჩერდება, ორგანიზაციების რეესტრში დარეგისტრირდებიან



**სამშვიდობო თემატიკაზე მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციების ნაწილი აცხადებს, რომ, თუ „უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ“ კანონის მოქმედება არ შეჩერდება, ორგანიზაციების რეესტრში დარეგისტრირდებიან.**

როგორც მათ მიერ გავრცელებულ განცხადებაშია ნათქვამი, მათ ორგანიზაციების რეესტრში დარეგისტრირება არ სურთ, თუმცა ფინანსური პრობლემების შექმნის შემთხვევაში, აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში ნდობის აღდგენისა და მშვიდობის მშენებლობის პროცესი დაზიანდება.

**„სამშვიდობო თემატიკაზე მომუშავე ორგანიზაციების განცხადებაზე ხელისმომწერი ორგანიზაციები საჯაროდ ვაცხადებთ, რომ საქართველოს პარლამენტის მიერ „უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ“ კანონის მიღება სრულიად დაუმსახურებლად და შეურაცხმყოფელი ფორმით იწვევს ჩვენ სტიგმატიზებას. რაც არანაკლებ მნიშვნელოვანია, კანონი და მის მიღებასთან დაკავშირებული ვითარება აზიანებს ჭეშმარიტ სახელმწიფო ინტერესებს. ასე, კანონის მიღების შედეგად სახეზეა, ერთი მხრივ, საზოგადოებრივი მღელვარება და პოლიტიკური სიტუაციის დაძაბვის რეალური პერსპექტივა, მეორე მხრივ, საერთაშორისო პარტნიორებთან ურთიერთობების არნახული გაუარესება, რაც უარყოფითად უკვე აისახება საქართველოს კონსტიტუციით განსაზღვრულ ევროპული და ევრო-ატლანტიკური ინტეგრაციის პერსპექტივაზე, მთელ რიგ თანამშრომლობით და დახმარების პროგრამებზე. გვაშფოთებს ყოველივე ამის შედეგად მოსალოდნელი პრობლემები, რაც ქვეყანას დაუდგება საყოველთაო სოციალური აპათიის, გაზრდილი ემიგრაციისა თუ დაქვეითებული კეთილდღეობის სახით.**

**მიმდინარე წლის 11 აპრილის განცხადებაში, რომელსაც ჩვენი ჩათვლით ხელს აწერდა 32 სუბიექტი, სხვასთან ერთად, აღნიშნული იყო, რომ, კანონის ძალაში შესვლის შემთხვევაში საფრთხის ქვეშ დადგებოდა სახალხო დიპლომატიის ფარგლებში მიმდინარე აფხაზეთის და ცხინვალის რეგიონის საზოგადოებებთან კომუნიკაციის მრავალწლიანი და ფაქიზი პროცესი. ასევე, ხაზი გაესვა იმას, რომ გართულდებოდა არასამთავრობო ორგანიზაციებისა და ექსპერტების აქტიური თანამშრომლობა საქართველოს პარლამენტთან და სხვა შესაბამის სახელმწიფო უწყებებთან.**

**იმედს გამოვთქვამთ, რომ ადრე თუ გვიან ხელისუფლება გაიზიარებს ჩვენს შეშფოთებას და გააუქმებს „უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ“ კანონს. მანამდე, იმედით დაველოდებით საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ კანონის მოქმედების შეჩერებას. თუ ეს დროულად არ მოხდა, იძულებული ვიქნებით ვიხელმძღვანელოთ კანონით გათვალისწინებული ნორმებით და დავასრულოთ ჩვენი ნების საწინააღმდეგოდ მოთხოვნილი რეგისტრირება შესაბამის რეესტრში. წინააღმდეგ შემთხვევაში, ფინანსური, პოლიტიკური, ლოჯისტიკური თუ სამართლებრივი ბარიერების და რისკების გაცნობიერებით, მივიჩნევთ, რომ სერიოზული ზიანი მიადგება აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში (სამხრეთ ოსეთში) ნდობის აღდგენისა და მშვიდობის მშენებლობის პროცესს, რაშიც აქტიურად არიან ჩართული ჩვენი ორგანიზაციები“,** – ნათქვამია განცხადებაში, რომელსაც ხელს აწერენ ორგანიზაციები:

**„სტუდია რე“, „ჰელსინკის მოქალაქეთა ასამბლეის საქართველოს ეროვნული კომიტეტი“, „ლევან მიქელაძის სახელობის ფონდი“, „ასოციაცია მშვიდობიანი და საქმიანი კავკასია“, „კოალიცია დევნილთა უფლებებისთვის“, პედაგოგთა კავშირი „განათლება და სამყარო“, „მეწარმე ქალთა ფონდი“, კავშირი „მომავლის ცხინვალი“, ასოციაცია „იმედი“ დევნილ ქალთა მოძრაობა მშვიდობისათვის, ფონდი „აფხაზინტერკონტი“.**




# „ჭიუტი თხები“ ჯორზე გადაჯდნენ!

## გიგაურების და ლომჯარიების წინასაარჩევნო მახინჯი სვლა



**რა იქნება შემხვედრი ნაბიჯი სახელმწიფოს მხრიდან იმ დაუმორჩილებელი არასამთავრობოების მიმართ, რომელთაც უარი განაცხადეს უცხოური გავლენის გამჭვირვალობის რეესტრში დარეგისტრირებაზე?! საბოლოოდ მაინც მოუწევთ თუ არა ამ ნჯო-ებს აგენტების შესახებ რეესტრში დარეგისტრირება?!**

ამ ეტაპზე უცხოური გავლენის გამჭვირვალობის რეესტრში დასარეგისტრირებლად 476 განაცხადია შესული. იუსტიციის მინისტრის პირველი მოადგილე თამარ ტყეშელაშვილი ამბობს, რომ რეგისტრაციის შემთხვევაში ორგანიზაციებს არავითარი საფრთხე არ ემუქრებათ, არ შეფერხდება მათი საქმიანობა და მათი დაფინანსება. ხოლო ის ორგანიზაციები, რომლებიც არ დარეგისტრირდნენ, პირველ რიგში, საკუთარ ორგანიზაციას აყენებენ ზიანს.

ის, რომ ანტიქართული ენჯეო-სექტორი სავალდებულო რეესტრში დარეგისტრირებაზე უარს იტყოდა, მოულოდნელი არ ყოფილა დავით ქართველიშვილისთვის. „ხალხის ძალის“ წევრი ამბობს, რომ ანტიქართულად განწყობილმა ნჯო-ებმა დამონსტრაციულად კანონგარეშე ყოფნა ამჯობინეს და კიდევ ერთი ნაბიჯით მიუახლოვდნენ საკუთარი თავის მიმართ გარდაუვალ გამამტყუნებელ განაჩენს – არჩევნებში კატასტროფულ მარცხს.

გამჭვირვალობის არამოსურნე არასამთავრობო ორგანიზაციები არა მარტო თვითონ არ დარეგისტრირდნენ, არამედ დააბულინგეს მოძრაობა „სირცხვილიაც“, რომელმაც 30 აგვისტოს გვაუწყა, რომ საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში დარეგისტრირდებოდა, თუმცა მოგვიანებით სხვა არასამთავრობოებისგან განცდილი ზეწოლის შემდეგ გააუქმა რეგისტრაციის გადაწყვეტილება და აღმასრულებელი დირექტორიც შეიცვალა.

„ბულინგი არა, შმულინგი, „სირცხვილიამ“ არასწორი ნაბიჯი გადადგა და ხალხმაც გააკრიტიკა“, – ასე გამოეხმაურა **„გირჩი“ ზურაბ ჯაფარიძე** „სირცხვილიას“ მიერ პოზიციის შეცვლას.

რას დაუპირისპირებს სახელმწიფო კანონგარეშედ მყოფ არასამთავრობოებს?!

**დავით ქართველიშვილი for.ge-ს დახმარებით ხელისუფლების იმ უამრავ მხარდამჭერს პასუხობს, რომლებიც უკმაყოფილონი არიან გამჭვირვალობის შესახებ კანონის ლმობიერებით და ითხოვენ ამ კანონის კიდევ უფრო გამკაცრებას, რომ სისხლის სამართლის კოდექსით დასჯადი გახდეს ამ კანონის დარღვევა.**

**„ჩვენ მწარედ ვაკრიტიკებთ უკრაინას, მოლდოვას იმ კუთხით, რომ იქ პრობლემა არ აქვთ, ერთ დღეში გააუქმონ რამდენიმე ოპოზიციური პარტია, ციხეში ჩასვან ოპოზიციური პარტიის ლიდერები, გააუქმონ ოპოზიციური სპექტრის მედია საშუალებები, მათ შორის, ტელევიზია. ჩვენ ამას ვაკრიტიკებთ და არ ვეთანხმებით თამაშის მსგავს წესებს, ამიტომ ორმაგი სტანდარტის პოლიტიკა იქნებოდა ჩვენი მხრიდან, გავყოლოდით ამ ქვეყნების გამოცდილებას. ამერიკაში, საფრანგეთში უკიდურესად გამკაცრებულია მსგავსი კანონის შეუსრულებლობა. ჩვენს კანონში კი, პირველ ჯერზე, კანონის გვერდის ავლისთვის გათვალისწინებულია დაჯარიმება, შემდგომ დაჯარიმება კიდევ ერთხელ და, საბოლოო ჯამში, გათვალისწინებულია იუსტიციის სამინისტროს სპეციალური მონიტორინგის ჯგუფის ჩართვა იმ ნჯო-ს საქმიანობის შესასწავლად, რომელიც თავს არიდებს რეესტრში რეგისტრაციას, თავს არიდებს დაკისრებული ჯარიმების გადახდას“, – აღნიშნა დავით ქართველიშვილმა ჩვენთან საუბრისას.**

მანვე განმარტა, რომ მონიტორინგის ჯგუფის კომპეტენციაა, ამა თუ იმ ორგანიზაციას დროებით გაეყინოს საბანკო ანგარიშები, ყადაღა დაედოს მათ ქონებას, შეჩერებულ იქნას მათი საქმიანობა მონიტორინგის ჯგუფის შესაბამისი დასკვნის გამოქვეყნებამდე და ეს დროში გაწერილი პროცედურაა. თუმცა ეს არ ნიშნავს არც სისხლის სამართლებრივ დევნას და არც უკიდურესად ძალადობრივ ქმედებებს, როგორც ეს ხდება საფრანგეთში. საფრანგეთის ანალოგიური კანონი შესაძლებლობას იძლევა, ფარული მიყურადება დააწესონ სატელეფონო საუბრებზე, ან სხვა ტიპის ჩარევა განახორციელონ მსგავსი ორგანიზაციის წევრების პირად სივრცეზე. ეს ყველაფერი ქართულ კანონში არ არის გათვალისწინებული, უფრო მეტიც, ქართული კანონი ამა თუ იმ ორგანიზაციას მის მიმართ გამოტანილი დასკვნის გასაჩივრების შესაძლებლობას აძლევს სასამართლო წესით, ესეც დროში გაწერილი პროცედურაა და როგორ დამთავრდება ყოველი კონკრეტული შემთხვევისთვის, ამის განსაზღვრა დროსა და სივრცეში ძალიან ძნელია.

დავით ქართველიშვილი არც იმას გამორიცხავს, შემდგომ პერიოდში არაერთმა არასამთავრობო ორგანიზაციამ გამოთქვას რეესტრში დარეგისტრირების სურვილი, ხოლო თუ არ დარეგისტრირდებიან და კანონგარეშე მდგომარეობაში ამჯობინებენ დარჩენას, რა თქმა უნდა, ლოგიკური იქნება სახელმწიფოს მხრიდან მათი საქმიანობის შეჩერება. ამიტომ მათი გადასაწყვეტია, დარეგისტრირდებიან თუ არა.

**ანალიტიკოსი გია აბაშიძე** აცხადებს, რომ რადიკალურ ოპოზიციასთან დაკავშირებული არასამთავრობო ორგანიზაციები რეალურად არიან „ნაცმოძრაობის“ პარტიული ერთეულები. ისინი ღიად და დეკლარირებულად აცხადებენ, რომ კანონდამრღვევები იქნებიან, რადგან არ

გაგრძელება მე-8 გვერდზე



# ოჯახური ღირებულებებისა და არასრულწლოვნის დაცვის შესახებ კანონპროექტი მეორე მოსმენით მხარდაჭერილია

**საქართველოს პარლამენტმა პლენარულ სხდომაზე, კანონპროექტი „ოჯახური ღირებულებებისა და არასრულწლოვანის დაცვის შესახებ“ მეორე მოსმენით, მუხლობრივად განიხილა და 81 ხმით მხარი დაუჭირა.**

საკითხი პარლამენტის წევრმა თენგიზ შარმანაშვილმა წარადგინა და ცალკეული მუხლის შესახებ, პარლამენტის წევრების კითხვის პასუხად, განმარტებები გააკეთა.

როგორც მომხსენებელმა განაცხადა, ოჯახის ცნება, მისი რეგულაციები სხვა ქვეყნების კონსტიტუციებშიც არის ასახული და ის არ განიხილება როგორც მხოლოდ რელიგიური კატეგორია.

„ოპონენტთა რიტორიკას რომ მივყოლოდით, რომლის თანახმად, ოჯახი არის მხოლოდ რელიგიური კატეგორია, მაშინ ოჯახზე ჩანაწერი არც კონსტიტუციაში არ უნდა იყოს. კანონმდებელი, ასევე ჩვენი ქვეყნის მოსახლეობის უმეტესობა ამას ასე არ მიიჩნევს და მინდა გითხრათ, რომ მსოფლიოშიც ასე არ უყურებენ.

ოჯახის ცნებას, მის რეგულაციებს სხვა ქვეყნების კონსტიტუციებშიც ნახავთ, ჩვენი „ნოუ-ჰაუ“ არ არის“, – განაცხადა თენგიზ შარმანაშვილმა.

მისივე თქმით, აბსოლუტურად სწორი ნაბიჯი გადადგეს და გაჰყვნენ იმ ხაზს, რომელიც 2017 წელს დაიწყო, როდესაც ოჯახის ცნების რეგულაცია მოხდა.

„წინააღმდეგ შემთხვევაში, მივიღებდით ისეთ ვითარებას, როდესაც ეს ჩანაწერი ფარატინა ქაღალდი გახდებოდა. ოჯახური ღირებულება ისევ კონსტიტუციიდან გამომდინარეობს, არა აქვს მას მხოლოდ რელიგიური დატვირთვა. რელიგიური შეხედულებებით მისი ახსნა შეუძლებელია. ასე რომ, სწორ გზას დავადექით, სწორად ვარეგულირებთ და ეს ჩვენი, საქართველოს მომავლისთვის, იმ საფრთხეების პრევენციისთვის, რომლებიც ყოველდღიურად იჩენს თავს, უდიდესი მნიშვნელობა აქვს“, – განაცხადა თენგიზ შარმანაშვილმა.

# აფხაზეთის მთავრობის თავმჯდომარე ლევან მგალობლიშვილი იქნება



**„ქართული ოცნების“ დეპუტატი ლევან მგალობლიშვილი აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე იქნება. აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესმა საბჭომ მისი კანდიდატურა უკვე წარადგინა.**

ინფორმაცია BMG-ის აფხაზეთის უმაღლეს საბჭოში დაუდასტურეს, სადაც პლენარული სხდომა გაიმართა. მას თავად ლევან მგალობლიშვილი ესწრებოდა. საბჭოს წევრის თქმით, ლევან მგალობლიშვილმა ორი კვირის ვადაში სამთავრობო გუნდი და პროგრამა უნდა შეიმუშაოს. ის ირაკლი კობახიძეს უნდა წარედგინოს, პრემიერ-მინისტრის თანხმობის შემთხვევაში, ლევან მგალობლიშვილს უზენაესი საბჭო პლენარულ სხდომაზე მოუსმენს და მხარს დაუჭერს.

ლევან მგალობლიშვილი სოხუმში დაიბადა.

აფხაზეთის მთავრობას 2019 წლიდან დღემდე რუსლან აბაშიძე ხელმძღვანელობდა. მან თანამდებობა 4 სექტემბერს დატოვა. გადადგომის მიზეზი უცნობია.

პრემიერ-მინისტრმა ირაკლი კობახიძემ ჟურნალისტების კითხვის საპასუხოდ განაცხადა, რომ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის რუსლან აბაშიძის შემცვლელი კონსულტაციების შემდეგ შეირჩეოდა. მისი თქმით, პროცესი სწრაფად უნდა წარიმართოს და კანდიდატს გამოცდილებასთან, კომპეტენციასთან, კეთილსინდისიერებასთან ერთად გული უნდა შესტკიოდეს საქართველოსა და აფხაზეთზე.

წინ – წინაპრებისკენ!
საქართველო რესპუბლიკა

# ერეკლე მეორის აჩრდილმა საქართველო აალელვა...



**თბილისში გადაწყვიტეს ერეკლე II-ის ძეგლის დადგმა, რომელმაც 1783 წელს დადო გეორგიევსკის ტრაქტატი „საქართველოსა და რუსეთს შორის მარადიული კავშირის შესახებ“. ძეგლი შინაგან საქმეთა სამინისტროს შენობის გვერდით დაიდგმება.**

ერეკლე II-მ შეინარჩუნა საქართველოს რელიგიური იდენტობა თავისი მებრძოლობით, საგარეო პოლიტიკაში სწორი ნაბიჯებითა და პრაგმატიზმით“, - განაცხადა თბილისის მერმა კახა კალაძემ. მან დასძინა, რომ საქართველოს ქრისტიანული იდენტობა „ქვეყნის ევროპული იდენტობის განუყოფელი ნაწილია“.

მისი თქმით, საქართველოს ხელისუფლება უახლოეს მომავალში გეგმავს მეფის ხსოვნის გაცოცხლებას. თუმცა, ზუსტი თარიღი არ ვრცელდება. ცნობილია მხოლოდ ის, რომ ძეგლი კახეთის გზატკეცილზე, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს შენობიდან არც თუ ისე შორს დაიდგმება.

ძეგლის შექმნას გეგმავენ ცნობილი მოქანდაკისა და სსრკ სამხატვრო აკადემიის აკადემიკოსის მერაბ მერაბიშვილის ესკიზების მიხედვით, რომელმაც ქალაქში მრავალი ძეგლი შექმნა. ის 2022 წლის 1 იანვარს 90 წლის ასაკში გარდაიცვალა.

რისთვის არის გახსენებული „პატარა კახი“?!

ერეკლე II იყო კახეთის მხარის მეფე. იგი ცნობილია იმით, რომ მის დროს დაიდო გეორგიევსკის ტრაქტატი, რომლითაც აღმოსავლეთ საქართველოს სამეფო გადავიდა რუსეთის იმპერიის პროტექტორატის ქვეშ. X საუკუნიდან მოყოლებული თანამედროვე საქართველოს რეგიონები მუდმივ დარბევასა და განადგურებას ექვემდებარებოდა.

ოსმალეთის იმპერიის დროს ქართული სამეფო დაიშალა სამთავროებად, რეგიონი ნაწილებად დაიყო და მოწყდა დანარჩენ ქრისტიანულ სამყაროს.

მეფემ ჩამოაყალიბა რეგულარული ქართული ჯარი, დაასახლა საქართველოს ცარიელი რეგიონები და ფეოდალების უფლებები კანონის ნორმებით შემოიფარგლა. გარდა ამისა, მან დააარსა სკოლები და სემინარიები ტფილისსა და თელავში, ასევე ხელი შეუწყო ქართულ-სომხურ დაახლოებას.

1783 წელს მან დადო გეორგიევსკის ხელშეკრულება რუსეთის იმპერიასთან, რომლითაც დაარსდა რუსეთის პროტექტორატი აღმოსავლეთ იმპერიაზე. თუმცა, 1801 წლის სექტემბერში იმპერატორმა ალექსანდრე I-მა, ხელშეკრულებების დარღვევით, გამოსცა მანიფესტი ქართლ-კახეთის სამეფოს გაუქმებისა და რუსეთის ტერიტორიასთან მისი შეერთების შესახებ. XIX საუკუნეში დასავლეთ საქართველოს ტერიტორია თანდათან რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში შევიდა.

* * *

**თბილისის** მერმა კახა კალაძემ აღნიშნა, რომ მიხეილ სააკაშვილის ოპოზიციური პარტია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ მეფის ერეკლე მეორის ძეგლის დადგმის წინააღმდეგია. კალაძემ ხაზგასმით აღნიშნა, რომ ისინი „ყველაფერ ტრადიციულსა და ეროვნულს ეწინააღმდეგებიან“.

ნაციონალური მოძრაობის ოპოზიციონერებმა საქართველოს ხელისუფლების ინიციატივა უკვე გააკრიტიკეს. მათ ძეგლის დადგმას უწოდეს „მორიგი სიგნალი მოსკოვისთვის და რომ, საქართველო 26 ოქტომბრის არჩევნების შემდეგ რუსეთს დაუყოვნებლივ გადაეცემა“.

„ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წარმომადგენლები ამტკიცებენ, რომ 1801 წელს, გეორგიევსკის ტრაქტატის დადებიდან რვა წლის შემდეგ, რუსეთის იმპერიის ხელისუფლებამ „მთლიანად გააუქმა ქართული სამეფო და გამოაცხადა საქართველოს შესვლა რუსეთის იმპერიაში“.

სააკაშვილის პარტია დარწმუნებულია, რომ „ქართული ოცნება“ ახორციელებს მსგავს გეგმებს და „რუსეთის მიერ მოტყუებული ერაკლეს“ ძეგლის დადგმა „პირველი ნაბიჯია ქართული სახელმწიფოებრიობის გაუქმებისკენ“.

* * *

**პარალელურად,** მართლმადიდებლობის სახელმწიფო რელიგიად შესაძლო გამოცხადების ინიციატივით გამოვიდა ქვეყნის მმართველი პარტია „ქართული ოცნება“. საპატრიარქომ შესაბამისი წინადადება ხელისუფლებისგან უკვე მიიღო.

ამჟამად ქვეყანაში ეკლესიასა და სახელმწიფოს შორის ურთიერთობა რეგულირდება პრეზიდენტ ედუარდ შევარდნაძის დროს მიღებული 2002 წლის კონსტიტუციური შეთანხმებით, სადაც ნათქვამია, რომ „სახელმწიფო და ეკლესია ადასტურებენ მზადყოფნას ითანამშრომლონ ურთიერთდამოუკიდებლობის პრინციპის პატივისცემით და ქვეყნის მოსახლეობის საკეთილდღეოდ “.

საპატრიარქომ „ქართული ოცნების“ ინიციატივა მიიჩნია „მმართველი პარტიის სურვილად გააძლიეროს ეკლესიის სტატუსი და როლი საზოგადოებრივ ცხოვრებაში“. თუ სასულიერო პირები ხელისუფლების იდეას დაეთანხმებიან, მაშინ დადგება საკითხი, რომ ქვეყნის კონსტიტუციაში ცვლილებები შევიდეს.

საქართველოში მორწმუნეების უმეტესი ნაწილი – 84,9% – მართლმადიდებელი ქრისტიანია, კიდევ 10,9% მუსლიმი, სომხური სამოციქულო ეკლესიის მიმდევარი – 3%, კათოლიკე – 0,5% და სხვა სარწმუნოების წარმომადგენლები – 0,7%.

* * *

**ქართველმა** პოლიტოლოგმა, ფონდ **SIKHA**-ს დამფუძნებელმა, არჩილ სიხარულიძემ **TRT**-თან საუბარში აღნიშნა, რომ ერეკლე მეორესთან დაკავშირებული საკითხი ყოფილმა პოლიტიკოსმა და ახლა ბლოგერმა ლევან ბერძენიშვილმა დააყენა.

„მან მეფე დაადანაშაულა სისულელეში და გულუბყვილო უწოდა რუსეთის იმპერიისადმი ნდობის გამო. ყოფილი პოლიტიკოსის თქმით, საჭირო იყო სხვა საგარეო პოლიტიკური მიმართულების არჩევა. როდესაც ბერძენიშვილმა ასეთი განცხადება გააკეთა, საკმაოდ მკვეთრი რეაქცია მოჰყვა უბრალო ადამიანების მხრიდან, განსაკუთრებით კახეთში მცხოვრებლებისგან, ასევე მეცნიერების მხრიდან“, – თქვა ექსპერტმა.

სპეციალისტმა აღნიშნა, რომ ქართველი ექსპერტები ამ კრიტიკას მეტწილად იდეოლოგიურად მოტივირებულს უწოდებდნენ.

„ეს იყო საქართველოს მოსახლეობის „კარგი“ პროდასავლური ნაწილისა და „ცუდი“ პრორუსული ნაწილის გამიჯვნის მცდელობა. ერეკლე II-ს ნაბიჯი რომ იმდროინდელი საქართველოსთვის დასავლური სამყარო ამ გაგებით არ არსებობდა, კამათის საგნად გადაიქცა“, – ამბობს ანალიტიკოსი.

მისი თქმით, ახლა ოპოზიციის ნაწილი ამტკიცებს, რომ კახეთი ყოველთვის პრორუსული იყო, რადგან ფინანსურად ყოველთვის რუსულ ფულზე იყო დამოკიდებული.

„მეორე ნაწილი ამას ფრთხილად უდგება, რადგან საზოგადოება დადებითად არის განწყობილი ერეკლე მეორის მიმართ, როგორც პოლიტიკის მცოდნე და მთელი ცხოვრება ქვეყნისთვის მებრძოლი ადამიანის მიმართ. „ქართული ოცნების“ გადაწყვეტილება დროულია, რადგან ამით პარტია ხაზს უსვამს არჩევანს ადეკვატურობის, ნეიტრალიტეტისა და ბალანსის სასარგებლოდ“, – დასძინა სიხარულიძემ.

პოლიტოლოგი მიიჩნევს, რომ ერეკლე მეორის ძეგლის დადგმის გადაწყვეტილებას რუსეთთან არანაირი კავშირი არ აქვს.

„ეს არის შიდა ნარატივი, რომელიც ლევან ბერძენიშვილმა ჩადო და რომელიც მოულოდნელად გაჩნდა. ოპოზიციას სხვა არაფერი აქვს სასაყვედურო, გარდა მისი პრორუსული ხასიათისა, რადგან თავად ოპოზიცია არაფერს გვთავაზობს – არც სოციალურ რეფორმას, არც – ეკონომიკურს და არც კულტურულ! – დაასკვნა ექსპერტმა.

**TRT-დან თარგმნა**
**ქეთი გიორგაძემ.**

# ხელოვნების მუზეუმისა და ეროვნული გალერეის ფონდებში დაბრუნებული ნამუშევრების გამოფენა

**5 სექტემბერს დიმიტრი შევარდნაძის სახელობის ეროვნულ გალერეაში ხელოვნების მუზეუმისა და ეროვნული გალერეის ფონდებში დაბრუნებული ნამუშევრების გამოფენა გაიმართა.**

გამოფენაზე წარმოდგენილი ნამუშევრები ხელოვნების მუზეუმსა და გალერეას 2021 წლის მაისიდან კულტურისა და სპორტის მინისტრის თეა წულუკიანის მიერ წამოწყებული მიზანმიმართული პროცესის შედეგად დაუბრუნდა და მათ წლების შემდეგ პირველად იხილავს დამთვალიერებელი.

**სამუზეუმო ფონდებში დაბრუნდა სერგო ქობულაძის, ელენე ახვლედიანის, ედმონდ კალანდაძის, დიმიტრი ხახუტაშვილის, გურამ (ხიტა) ქუთათელაძის, გივი თოიძის, ირაკლი სუთიძის, ლევან ლაღიძის, ზაზა ბერძენიშვილის, ზაურ გოლავას, თამაზ კაკაბაძის, რუსუდან ფეტვიაშვილის, თემო ჯაფარიძის, ოთარ სულავას, მედეა ბაქრაძის, ვაჟა მელიქიშვილის, ნოდარ თოფურიას, სიმონ გირკელიძის, ნელი ალექსიძის, თენგიზ ცხონდიას, ომარ კაჭკაჭიშვილის, გურამ ნავროზაშვილის, გრიგოლ ჩირინაშვილის, შოთა ლეჟავას, ზაურ დეისაძის, კოტე ჭანკვეტაძისა და გელა მანჯავიძის ნამუშევრები.**



განსაკუთრებით აღსანიშნავია 2021 წელს რუსეთის ფედერაციის სამხატვრო აკადემიიდან დაბრუნებული ნახატები, რომლებიც ამ ორგანიზაციას დროებითი გამოფენისთვის 2003 წელს გადაეცა. ეს არის გრიგორი გაგარინის, ლევ ლაგორიოს, კარლ ჟუკოვსკის, ევგენი ლანსერესა და ბორის ფოგელის გრაფიკული და ფერწერული ნამუშევრები, რომლებსაც საქართველოსათვის უდიდესი ისტორიულ-ეთნოგრაფიული და მხატვრული მნიშვნელობა აქვს.



# ოზურგეთსა და ლანჩხუთს უწყვეტი წყალმომარაგება ექნება

**„ოზურგეთსა და ლანჩხუთში ორი უმნიშვნელოვანესი პროექტი ხორციელდება. მთლიანობაში, მიმდინარე პროექტების ფარგლებში, დაახლოებით 50 000-მდე ადამიანს 24-საათიანი წყალმომარაგება ექნება. ეტაპობრივად, წლის ბოლოს და ასევე, მომავალ წელს ოზურგეთში და ლანჩხუთში უკვე 24-საათიანი წყალმომარაგება იქნება,“ – ამის შესახებ რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრმა ირაკლი ქარსელაძემ ქალაქ ოზურგეთში წყალმომარაგების პროექტის მიმდინარე სამუშაოების დათვალიერების შემდეგ განაცხადა.**

**„მოწესრიგებული და რეაბილიტირებული სათავე-ნაგებობები და რეზერვუარები, ასევე მოწყობილი ქსელი და მაგისტრალი შესაძლებლობას მოგვცემს, განვახორციელოთ სრული დაფარვა, რაც ნიშნავს იმას, რომ ოზურგეთს, ლანჩხუთს და შესაბამის მუნიციპალიტეტებს, ჯამში დაახლოებით 17 სოფელს 24-საათიანი წყალმომარაგება ექნება. ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ამ კონკრეტულ უბნებში მანამდე არასდროს ყოფილა ცენტრალიზებული წყალმომარაგების ქსელი. სამწუხაროდ, ასეთი უბნები ამ მიმდინარე პროექტებში ბევრია,“** – აღნიშნა ირაკლი ქარსელაძემ.

წყალმომარაგების ქსელი სრულად განახლდა ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფლებშიც. პროექტს საქართველოს მთავრობის დაფინანსებით 10 მილიონ ლარამდე მოხმარდა.

## დებილები ვგონივართ იმ ხალხს, რომლებსაც „არტერია“ და „არტილერია“ ვერ გაურჩევიათ!



# რამდენიმე სურათი, ანუ ეპიზოდი ენჯეოშნიკთა ცხოვრებიდან

**თითქმის 25 წელიწადი ვითხოვდი კანონს გამჭვირვალობის შესახებ. საზოგადოებამ უნდა იცოდეს, ვინ არიან ის ადამიანები, საკუთარ თავს „მესამე სექტორს“ და „სამოქალაქო საზოგადოებას“ რომ უწოდებენ, საზოგადოებამ უნდა იცოდეს, რას წარმოადგენენ ის ორგანიზაციები, კანონის წინაშე თანასწორობას რომ ქადაგებენ, საკუთარ თავს კი, ხელშეუხებლად მიიჩნევენ; ადამიანებში სამოქალაქო განათლების გავრცელებაზე რომ აქვთ პრეტენზია, თავად კი, მიუხედავად შემაშფოთებელი გაუნათლებლობისა, ადამიანებს ქედმაღლურად უყურებენ; ბუნებას რომ იცავენ და ცხოვრებში ერთი ხე რომ არ დაურგავთ; ადამიანებს რომ იცავენ და ადამიანი  რომ არ უყვართ; ევროპა რომ უნდათ, მაგრამ ჭირის დღესავით სძულთ და აშინებთ ჭეშმარიტი ევროპული ფასეულობები.**

**ისინი მაშინაც აქტიურად ერეოდნენ და დღესაც ღიად ერევიან პოლიტიკაში. რთული მისახვედრი არ არის, რატომ უფრთხიან გამჭვირვალობას.**

### უხეო ტყეების გენერლები

**ამ 13-14 წლის წინ** ერთ-ერთი გარემოსდამცველი არასამთავრობო ორგანიზაციის ღონისძიებაზე მოვხვდი. პროექტი სრულდებოდა და დასრულებას ზარ-ზეიმით აღნიშნავდნენ. პროექტს ერქვა გადავარჩინოთ ესა და ეს პარკიო. პარკის გადასარჩენად მართლაც გრანდიოზული სამუშაო ჩაატარეს – შექმნეს შესაბამისი ლოგო, დაამზადეს სამკერდე ნიშნები, დაწერეს და გამოაქვეყნეს რამდენიმე საგაზეთო სტატია, გადაიღეს ერთი ვიდეორგოლი, რომელშიც რამდენიმე ცნობილი და უცნობი სახე თუთიყუშებივით იმეორებდა ორ სიტყვას – „გადავარჩინოთ პარკი“!, ჩაატარეს მრგვალი მაგიდა, რომელზეც ისაუბრეს, თუ როგორი საშვილიშვილო საქმეა ამ პარკის გადარჩენა და რამხელა საშვილიშვილო საქმეს აკეთებს ეს არასამთავრობო ორგანიზაცია, ანუ ენჯეო და, ბოლოს, როგორც გითხარით, ზარ-ზეიმით აღნიშნეს პროექტის დასრულება.

ზარ-ზეიმში იგულისხმება გადასარჩენ პარკში გაშლილი სუფრა, რამდენიმე ბოთლი ხილის წვენი და მინერალური წყალი, ბუტერბროდები, სენდვიჩები და ორიოდე ნაჭერი ხაჭაპური.

ხაჭაპურისა რა მოგახსენოთ, გრანტი კი ნამდვილად მსუყე იყო. მიუხედავად ამისა, პროექტის მიმდინარეობის განმავლობაში ენჯეოს წევრებს და მოწვეულ ექსპერტებს არ დაურგავთ არც ერთი ხე და არც ერთი ბუჩქი და არც პარკის ტერიტორია დაუსუფთავებიათ. უფრო მეტიც – ღონისძიების დასრულების შემდეგ, როდესაც ყველა წავიდ-წამოვიდა, ადგილზე დარჩა რამდენიმე ათეული პოლიეთილენის ბოთლი, ჭიქები, თეფშები, სიგარეტის ნამწვები, ხელსახოცები, სიგარეტის ცარიელი კოლოფები და ა.შ.

დონორი ორგანიზაციის წარმომადგენელს კი, ალბათ, უთხრეს, ეს მრავალწლიანი ნარგავები, რომლებსაც აქ ხედავთ, ჩვენი ორგანიზაციის წევრებმა ამ პროექტის ფარგლებში დავრგეთ და რუდუნებით ვუვლითო.

**ისინი მაშინაც აქტიურად ერეოდნენ და დღესაც ღიად ერევიან პოლიტიკაში. რთული მისახვედრი არ არის, რატომ უფრთხიან გამჭვირვალობას.**

### განვიხილავთ არარსებულს

**ერთ-ერთი** საპარლამენტო არჩევნების წინ რომელიღაც დონორმა საგრანტო კონკურსი გამოაცხადა, გამარჯვებულს წინასაარჩევნო მედია-გარემო უნდა შეესწავლა და დასკვნა დაეწერა. მარტი ან აპრილი იქნებოდა. ენჯეოებმა დაწერეს პროექტები და წარუდგინეს შესაბამის კომისიას. ერთ-ერთმა მათგანმა გაიმარჯვა და შეუდგა საქმეს – ივლისის, აგვისტოსა და სექტემბრის განმავლობაში უცქერდნენ ტელევიზორს, უსმენდნენ რადიოს, კითხულობდნენ გაზეთებს და „სქროლავდნენ“ ვებ-გვერდებს.

არჩევნები ოქტომბერში ჩატარდა. მონიტორინგის შედეგები მალევე გამოქვეყნდა. ყველაფერი სტანდარტულად იყო: ამა და ამ ტელევიზიამ მოამზადა ამდენი და ამდენი სიუჟეტი, მათ შორის ამდენი მიკერძოებული და ამდენი ნეიტრალური; ამა და ამ რადიომ გააკეთა ამდენი და ამდენი გადაცემა, მათ შორის ამდენი და ამდენი მიკერძოებული და ამდენი და ამდენი ნეიტრალური. ასევე იყო ბეჭდური და ინტერნეტ მედიების შემთხვევაშიც – დათვალეს ეს და დათვალეს ის.

სხვა საქმეა, რამდენად ობიექტური, პროფესიონალური და დამაჯერებელი გახლდათ ენჯეოშიკების შეფასება, ერთს კი ვიტყვი და თავად განსაჯეთ: საბოლოო ანგარიშში მოყვანილი იყო ერთ-ერთი ინტერნეტ-გამოცემის (ვუწოდოთ პირობითად „ცნობის ფურცელი“) წინასაარჩევნო კონტენტის ანალიზი, თუმცა წინასაარჩევნო კამპანიის დასაწყისისთვის ეს ინტერნეტ-გამოცემა... უკვე აღარ არსებობდა, ივნისში დაიხურა. არადა, ანგარიშში ეწერა, „ცნობის ფურცელმა“ ივლის-აგვისტო-სექტემბერში ამდენი და ამდენი სტატია გამოაქვეყნდა, რომელთაგან ჭეშმარიტი, მიუკერძოებელი ჟურნალისტიკის კრიტერიუმებს ამდენი და ამდენი აკმაყოფილებდა, ხოლო დანარჩენები კონკრეტული პარტიისადმი სიმპათიებით იყო გამსჭვალულიო.

გაიგე ახლა, მართლა უცქერდნენ ტელევიზორს, მართლა უსმენდნენ რადიოს, მართლა კითხულობდნენ გაზეთებს და მართლა „სქროლავდნენ“ ინტერნეტ-გამოცემებს თუ მთელი ეს კონტენტ-ანალიზი და დასკვნა-ანგარიში წინასაარჩევნო კამპანიის დაწყებამდე დაიწერა, სანამ ბედკრული „ცნობის ფურცელი“ შეწყვეტდა არსებობას!

**ისინი მაშინაც აქტიურად ერეოდნენ და დღესაც ღიად ერევიან პოლიტიკაში. რთული მისახვედრი არ არის, რატომ უფრთხიან გამჭვირვალობას.**



### ბოდიშის შემქმნელებისგან

**2009 წელს** არასამთავრობო ორგანიზაცია „ადამიანის უფლებათა ცენტრს“, რომლის მფლობელიც (ენჯეოებს არ ხელმძღვანელობენ, ენჯეოებს ფლობენ) გახლავთ ყოფილი სახალხო დამცველი უჩა ნანუაშვილი, დაუფინანსეს პროექტი სახელწოდებით **„კამპანია ბოდიში“**. პროექტის მიხედვით, ცნობილ, მეტ-ნაკლებად ცნობილ და არც ისე ცნობილ ქართველებს 1992-93 წლების ომისთვის აფხაზებისთვის უნდა მოეხადათ ბოდიში, ყოველ მათგანს უნდა დაეწერა საკუთარი, ორიგინალური ტექსტი, რომელთა მედიაში გამოქვეყნებას უზრუნველყოფდა „ადამიანის უფლებათა ცენტრი“. ცხადია, ხარჯებს საკუთარ თავზე უჩა ნანუაშვილის კანტორა იღებდა.

თუ ყველა ქართველი მოვიხდით ბოდიშს, მოხდება საყოველთაო შერიგება და ავტომატურად აღდგება საქართველოს ტერიტორიული მთლიანობაო, - მითხრა ორგანიზაციის წარმომადგენელმა, რომელიც „პრესა.გე“-ში ბოდიშების გამოქვეყნებით გახლდათ დაინტერესებული.

ნამდვილად ვერ გეტყვით, ვინ და როგორ მოუხადა ბოდიში სეპარატისტებს, კავკასიის ხალხთა კონფედერაციას და ბაგრამიანის ბატალიონს და არც ის ვიცი, სად გამოქვეყნდა მათი ბოდიშები. შესაძლოა, არც არავინ და შესაძლოა, არც არსად, მაგრამ თავად იდეა ასეთი პროექტისა შესაბამისად ახასიათებს  მის დამფინანსებლებს და განმახორციელებლებს.

**ისინი მაშინაც აქტიურად ერეოდნენ და დღესაც ღიად ერევიან პოლიტიკაში. რთული მისახვედრი არ არის, რატომ უფრთხიან გამჭვირვალობას.**

### ფული, წყალი და ბიბლიოთეკა

**2019 წელს** საქართველოს საზოგადოებრივ მაუწყებელს ახალი პროგრამული პრიორიტეტები უნდა შეემუშავებინა, რომლითაც მომდევნო რამდენიმე წლის განმავლობაში იხელმძღვანელებდა. სამეურვეო საბჭოს წევრები რეგიონებში ვხვდებოდით საზოგადოების წარმომადგენლებს. მართლაც ნაყოფიერი შეხვედრები გაიმართა. ერთ-ერთი ასეთი შეხვედრა ქუთაისში არასამთავრობო ორგანიზაცია „დემოკრატიული ჩართულობის ცენტრში“ ჩატარდა. ხაზი მინდა გავუსვა ენჯეოს სახელწოდებას – „დემოკრატიული ჩართულობის ცენტრი“. ანუ, ორგანიზაციის შემქმნელი გულანთებული ახალგაზრდები იმდენად მოწადინებულები არიან ქვეყანაში მიმდინარე პროცესებში საზოგადოების ჩართვით, რომ ამისთვის ცენტრი შექმნეს, ოფისი აიღეს, დაუღალავად იღვწიან, თავს არ ზოგავენ,

## „ჟურნალისტური ეთიკის ქარტია“ შედგება 10 პუნქტისგან და მის დაწერაზე და შემდეგ ხელმომწერთა შეგროვებაზე დაიხარჯა (ვერ გამოიცნობთ!) დაახლოებით 50 ათასი ევრო (უფრო ზუსტად, თუ მეხსიერება არ მღალატობს, 47 ათასი ევრო).

დღისით არ ისვენებენ, ღამით არ ძინავთ, სისხლისა და ოფლის უკანასკნელ წვეთებს დემოკრატიულ ჩართულობას უძღვნიან უანგაროდ.

აი, ეს მაგათი უანგარობა მომკლავს, თუ მომკლავს!

იმ დღეს „დემოკრატიული ჩართულობის“ უანგარო და გულანთებულმა ცენტრმა თავისი ოფისის ერთი ოთახი (ჰოლი, რომელშიც პირდაპირ ქუჩიდან შედიხარ) საქართველოს საზოგადოებრივ მაუწყებელს რამდენიმე საათით დაახლოებით 300 ლარად მიაქირავა, თბილისიდან ჩასულ სამ სტუმარს კი მაგიდაზე სამი ბოთლი წყალი არ დაგვიდგა...

ერთი დეტალიც: ჰოლში წიგნების კარადა იდგა, 30-იოდე წიგნით, მთ შორის სამი ცალი – მიხეილ სააკაშვილის „გადამწყვეტი ბრძოლა საქართველოსთვის“ და ოთხი – ბაჩო ახალაიას „სოხუმი – ჩემი იერუსალიმი“.

ესეც მათი უანგარობა, დემოკრატიული ჩართულობა, ტაქტი და მიუკერძოებლობა.

ისინი მაშინაც აქტიურად ერეოდნენ და დღესაც ღიად ერევიან პოლიტიკაში. რთული მისახვედრი არ არის, რატომ უფრთხიან გამჭვირვალობას.

### ქარტია ჩვენი მესაჭეა

**2009 წლის** სექტემბერი იდგა, როდესაც სრულიად შემთხვევით შევიტყვე, რომ საქართველოში იქმნება „ჟურნალისტური ეთიკის ქარტია“. მაშინ საქართველოში პირველი საინფორმაციო-ანალიტიკური პორტალის „პრესა.გე“-ს დამფუძნებელი და მთავარი რედაქტორი გახლდით. გამოვკითხე ჩემი თანამშრომლები და – პირველად გვესმისო. დავრეკე გაზეთის რედაქციებში, დავურეკე რამდენიმე ცნობილ ჟურნალისტს, ისეთებს, ჭკუა და ჟურნალისტური ეთიკა რომ მოეკითხებათ. არავინ არაფერი იცოდა, გაუკვირდათ –აზრზე არ ვართო.

ნელ-ნელა გაირკვა ყველაფერი: „ჟურნალიტური ეთიკის ქარტია“ აღმოჩნდა არა უბრალოდ დოკუმენტი, არამედ ერთი არცთუ ჩვეულებრივი არასამთავრობო ორგანიზაცია, რომელიც სოროსის ფონდის დაფინანსებით იქმნებოდა. თავად ქარტიის ტექსტი უკვე დაწერილი გახლდათ, თუმცა, როგორც აღვნიშნე, მის შესახებ არც მე და არც ბევრ სხვა ჟურნალისტს არაფერი სმენოდა. ამის გამო ჩემი რეაქცია იყო მკვეთრად უარყოფითი, დავწერე სტატია, სადაც ჩემი და ჩემი „ჭურში მსხდომი“ კოლეგების აზრი გამოვხატე.

**ამის შემდეგ, ჟურნალისტმა ლელა კურდღელაშვილმა „ქარტიაზე“ სასაუბროდ „რადიოქალაქის“ პირდაპირ ეთერში მიგვიწვია „ქარტიის“ დედა, ია ანთაძე და მე, თქვენი მონა-მორჩილი და იქ გაირკვა, რომ „ჟურნალისტური ეთიკის ქარტია“ შედგება 10 პუნქტისგან და მის დაწერაზე და შემდეგ ხელმომწერთა შეგროვებაზე დაიხარჯა (ვერ გამოიცნობთ!) დაახლოებით 50 ათასი ევრო (უფრო ზუსტად, თუ მეხსიერება არ მღალატობს, 47 ათასი ევრო).**

მაშინ ვუთხარი ქ-ნ ანთაძეს, ქარტიას სწორედ იმიტომ არ მოვაწერ ხელს, მის შექმნაზე ამხელა თანხა რომ დაიხარჯა-მეთქი. ისიც ვუთხარი, რომ ამ 10 პუნქტის ჩამოწერა სულ რაღაც 10 ლარად შემეძლო. გაუკვირდა, ეგ როგორო?! „მე და კიდევ ორი-სამი წესიერი ჟურნალისტი ავიღებდით ორ-სამ ბოთლ ლუდს, ჩამოვსხდებოდით ვერის პარკში ბორდიურზე და ორ-სამ საათში ქარტია მზად იქნებოდა, ის კი, როგორც თქვენ იქცევით, მაფიქრებინებს, რომ ფულის საჭრელ მორიგ დაზგას ქმნით, სადაც არც ჟურნალისტიკაა და არც ეთიკა, ვიღაც ფულს ხარჯავს, მუსიკას უკვეთავს და მათ დაკრულზე ვინც იცეკვებს ამასაც კარგად ვხვდები-მეთქი“, – ვუთხარი ანთაძეს.

ქარტიას ხელი 4 დეკემბერს მოეწერა, ხელმომწერთა რაოდენობამ 100-ზე ოდნავ მეტი შეადგინა (ცნობისთვის, 100-ზე მეტი ჟურნალისტი „კვირის პალიტრის“ ჰოლდინგში მუშაობს) და მათ დიდ უმრავლესობას რეგიონალური მედიის წარმომადგენლები შეადგენდნენ. საღამოს ერთ-ერთი ტელევიზიის პირდაპირ ეთერში ვისხედით აქეთ – მე და იქით – ქარტიის ხელმოწერის აღსანიშნავი საზეიმო ბანკეტიდან პირდაპირ გადაცემაში მოსული ათზე მეტი ხელმომწერი.

**ყალბი თავმდაბლობის გარეშე ვიტყვი, რომ ძალები სულაც არ იყო არათანაბარი, უმალ პირიქით, რადგან მე ვამბობდი იმას, რასაც ვფიქრობდი, მათი გულწრფელობა კი დიდი კითხვის ნიშნის ქვეშ იდგა. ამაში საბოლოოდ მაშინ დავრწმუნდი, როდესაც სამი ოპონენტი სახლებში მანქანით ჩამოვარიგე და გზაში თითოეულმა მათგანმა უცენზურო სიტყვებით მოიხსენია როგორც ქარტიის შემქმნელები, ასევე დონორი. სხვა გზა არ გვქონდა, უნდა მოგვეწერა ხელიო. და თუ რატომ იყვნენ იძულებულები, ამაზე დეტალური საუბარი შორს წაგვიყვანს, ამიტომ მოკლედ მოგახსენებთ: არ მოაწერდნენ ხელს და გრანტებს ისევე ვერ იხილავდნენ, როგორც საკუთარ ყურებს. რეგიონული მედია გრანტების გარეშე, ფაქტობრივად, სასიკვდილოდ არის განწირული.**

თითქმის ერთმა წელმა განვლო „ქარტიის“ ხელმოწერიდან, სანამ „ქარტიის“ საბჭო პირველად შეიკრიბა. რატომ არ იკრიბებითო, – რომ ჰკითხეს, სახეზე სამყაროს სევდა გამოესახათ – საბჭოს რეგიონალ წევრებს ფული არ აქვთ, თბილისში ხომ უნდა ჩამოვიდნენ და ღამე ხომ უნდა გაათიონო? სადმე ხომ უნდა შეიკრიბონო? ტელეფონები ხომ უნდათო? კვებაც ხომ საჭიროაო? კომპიუტერი, პრინტერი, სკანერი, სტეპლერი და ბაინდერი ხომ ჭირდებათო? და ა.შ.

ყოველივე ამისთვის ახალი გრანტი გამოიყო, როგორც იქნა, შეიკრიბა საბჭო, მაგრამ რაღაცაზე, ვიღაცის უმსგავსობაზე ხომ უნდა ემსჯელათ და ხომ უნდა დაესაჯათ? აქ სერიოზულ პრობლემას გადააწყდნენ – საკუთარი ხელმომწერები უნდა განესაჯათ და დაესაჯათ, საკუთარი შვილებისთვის უნდა მოეჭრათ თავები და კუდები, ეს კი სერიოზულ სკანდალს გამოიწვევდა. ამიტომ ვიღაცამ იდეა წამოაყენა – ქარტიის არახელმომწერები განვსაჯოთ და დავსაჯოთო.

რა შევუთვალე და როგორი სიტყვები გამოვიყენე, ამას ვერ გეტყვით, უზრდელობაა.

**ისინი მაშინაც აქტიურად ერეოდნენ და დღესაც ღიად ერევიან პოლიტიკაში. რთული მისახვედრი არ არის, რატომ უფრთხიან გამჭვირვალობას.**

### დაბოლოს

**თუ არ ვცდები,** 2014 წელი იყო, როდესაც ნაცების ლოყებღაჟღაჟა ომბუდსმენს გიორგი ტუღუშს უფლებამოსილების ვადა ამოეწურა და დღის წესრიგში ახალი სახალხო დამცველის არჩევის საკითხი დადგა. მსურველი იყო რამდენიმე, მათ შორის ერთი იურისტი, ენჯეოშნიკი ქალბატონი. ამ ქალბატონის მხარდამჭერ მოჟურნალისტო-მოენჯეოშნიკო ქალბატონს პირდაპირ ეთერში შეახსენეს – თქვენს პროტეჟეს მეზობელმა კონსულტაციისთვის რომ მიმართა (დრო, ადგილი, სახელი და გვარი დაუკონკრეტეს), უარით რატომ გაისტუმრაო.

**პასუხმა დაგვარწმუნა, რომ ადამიანის სიმდაბლესა და სიგრიყვეს მართლაც არ ჰქონია საზღვარი – კონსულტაციაზე უარი იმიტომ უთხრა, რომ მისი არასამთავრობო ორგანიზაცია იმ დროს ასეთ პროექტს არ ახორციელებდაო.**

მართლაც, ხომ უამრავი არასამთავრობო ორგანიზაცია არსებობს, რომელთა დეკლარირებული მიზანი ადამიანებზე ზრუნვა, მათი უფლებების დაცვაა. წარმოიდგინეთ: მიდის უფლებადამცველი ენჯეოშნიკი ქუჩაში და ხედავს, რომ გამვლელმა რაღაცას ფეხი წამოკრა და წამოდგომას ვერ ახერხებს. როგორ იქცევა ჰუმანისტი ენჯეოშნიკი? წერს პროექტს გრანტის მოსაპოვებლად. პროექტის სახელწოდებაა „ხელი გავუწოდოთ კონკრეტულ ადამიანს“. პროექტს ახლავს ბიუჯეტი, რადგან ამ ადამიანის დასახმარებლად (აი, მის თვალწინ რომ წაიქცა), საჭიროა ოფისი, ტექნიკა, ხელფასი, ვიდეორგოლი, პუბლიკაციები მედიასა და სოციალურ ქსელებში, უნდა დაფინანსდეს კომუნალური ხარჯები, კომუნიკაცია, გადაადგილება, მივლინება და, რა თქმა უნდა, აუცილებელია უცხოელი ექსპერტი, რომლის ჩამოყვანაც ასევე დიდ ხარჯებთან არის დაკავშირებული.

მოკლედ, პროექტი მზად არის. თუ არ დაუფინანსებენ, რატომ უნდა დაეხმაროს და თუ დაუფინანსებენ, წაიყვანს ოპერატორს, წამოაყენებს წაქცეულს, გადაღებულ კადრებს გაავრცელებს და ეს „ქეისი“ ამერიკის სენატის შემაჯამებელ ანგარიშშიც მოხვდება. ისე, თუ იმ საწყალს ამასობაში ვინმე დაეხმარება და პროექტის დასკვნითი ფაზის საჭიროება მოიხსნება, მართალია, სენატის ანგარიში აღნიშნულ პროექტს გვერდს აუვლის, მაგრამ, სამაგიეროდ, ჩამოვა რომელიმე სენატორი და დაგვამადლის, ეს რა მაგარი პროექტი დაგიფინანსეთო.

**მართლა სულელები ვგონივართ თუ უბრალოდ ჩვენი სულელებად წარმოჩენა აწყობთ, ამას ვერ გეტყვით, არ ვიცი. ის კი ვიცი, რომ 2000-იანების დასაწყისში ერთი ევროპული ფონდის მიერ დაფინანსებული ბროშურა ჩამივარდა ხელში. ქართველებს გვასწავლიდნენ ფეხსაცმელზე თასმების შეკვრას, დანა-ჩანგლის ხმარებას, გვასწავლიდნენ, რომ ჭამის წინ ხელები უნდა დაიბანო, ჭამის შემდეგ ტუჩები უნდა მოიწმინდო, არ დააბოყინო, არ დაამთქნარო, წვინტლები არ ჩამოუშვა...**

რა ვიცი... ალბათ, დებილები ვგონივართ და იმიტომაც იმედოვნებენ, რომ ხელისუფლებაში დაბრუნებას შეძლებენ მკვლელები, ქურდები, მოძალადეები, ფლიდები, უვიცები, უსაქმურები... ერთი სიტყვით, ნაციონალები და მათთან გათანაბრებულები – ენჯეოშნიკები, რომლებიც მაშინაც აქტიურად ერეოდნენ და დღესაც ღიად ერევიან პოლიტიკაში. რთული მისახვედრი არ არის, რატომ უფრთხიან ისინი გამჭვირვალობას.

აბა, პარალელური დათვლის შედეგები მე გავაყალბე?!

* * *

**P.S.** არ იფიქროთ, რომ ე.წ. მესამე სექტორი მხოლოდ პოლიტიკით არის დაკავებული და ენჯეოშნიკური საქმიანობისგან თავი შორს უჭირავს. წარმოგიდგენთ მათ მიერ შედგენილი „პოლიტკორექტული ტერმინოლოგიის“ რამდენიმე ტერმინს: საზოგადოებიდან სეგრეგირებული (პატიმარი), ხარ-ძროხამართვის ოპერატორი (კოვბოი), მოქნილი განსახლების სუბიექტი (მაწანწალა), ჰორიზონტალურად ადვილად მისაწვდომი (მსუბუქი ყოფაქცევის ქალი), მელანინით ბოლომდე დაუკომპლექტებელი (თეთრი რასის ადამიანი).

**P.P.S.** თუმცა, დღემდე კათეტი კათეტერში ერევათ, ხოლო არტერიაში – არტილერია.

**for.ge, გიგი მესვეტე,**
2.09.2024.

## „ჯიუტი თხები“ ჯორზე გადაჯდნენ!

მეოთხე გვერდიდან



რეგისტრირდებიან გამჭვირვალობის რეესტრში. შესაბამისად, ეს არის, პირველ რიგში, საქართველოს სახელმწიფოს გამოწვევა, მისი მართლმსაჯულების და სახელმწიფო ინსტიტუტების გამოწვევა და, მეორე და არანაკლებ მთავარი, ეს არის იმ მახინჯი სურათის დახატვა, რასაც არაერთი არჩევნების წინ ახორციელებენ ნაც-ენჯეოები.

**„ეს არის აპოკალიპტური სურათი, თითქოს არც დემოკრატიული და არც თავისუფალი გარემო არაა საქართველოში, სამოქალაქო სექტორის ორგანიზაციებს ვითომც დევნის ხელისუფლება. წინასაარჩევნოდ მათთვის ეს არის ვითომ ერთ-ერთი კოზირი შავ პოლიტიკურ პიარში, მაგრამ ისევე, როგორც ნიკა მელიას შემთხვევაში, როდესაც ის არ აპირებდა არც გირაოს გადახდას, არც კანონისთვის დამორჩილებას, მოუწევთ ამ ჯიუტ ნაც-ორგანიზაციებს კანონის მიმართ დაქვემდებარება. თუ არ დარეგისტრირდებიან, ბუნებრივია, 25-ათასლარიანი ჯარიმის გადახდა მოუწევთ. თუ ჯარიმას არ გადაიხდიან, არსებობს ჯარიმის გადაუხდელობისთვის კანონით გათვალისწინებული სახელმწიფო პროცედურები, რასაც ისინი აუცილებლად დაარქმევენ, თითქოს ეს არის ეგრეთ წოდებული თავისუფალი მედიის და ეგრეთ წოდებული თავისუფალი სიტყვის შევიწროება. ეს მავნებლური რიტორიკა ნაცოპოზიციის და მათი გარე სპონსორების მხრიდან არჩევნებამდე გასტანს, ასევე, არჩევნების შემდგომ პერიოდშიც მაქსიმალურად შეეცდებიან, რაც შეიძლება, მუქ ფერებში გამოვლინდეს მორიგი დემოკრატიული, თავისუფალი არჩევნები. შემდგომში კი, როდესაც მიხვდებიან, რომ ისევ და ისევ პირწმიდად წააგეს ქართულ საზოგადოებასთან, ძალიანაც კარგად გადაიხდიან ამ ჯარიმას და ძალიან კარგად დარეგისტრირდებიან. უბრალოდ, ეს არის წინასაარჩევნო პოლიტიკური მახინჯი სვლა მათი მხრიდან, რაც არ არის გასაკვირი კოლექტიური ეკა გიგაურებისა და კოლექტიური ნინო ლომჯარიების მხრიდან, რადგან წლებია, ისინი ებრძვიან საქართველოს სახელმწიფოს, ქართველი ხალხის უმრავლესობის მიერ არჩეულ ლეგიტიმურ ხელისუფლებას“...**

რაც შეეხება „სირცხვილიას“ მიერ უცხოური გავლენის გამჭვირვალობის რეესტრში დასარეგისტრირებლად მზადყოფნას და შემდგომ ამის გადათქმას, გია აბაშიძე აცხადებს, რომ ე.წ. არასამთავრობო ორგანიზაცია „სირცხვილია“ შეიქმნა იმისთვის, რომ ქუჩაში მოეწყო ექსტრემიზმი და დესტრუქცია. მცირე მასშტაბებით მათ ეს შეძლეს, მაგრამ ჩანაფიქრი, რაც მათ სპონსორებს ჰქონდათ, წყალში ჩაეყარათ.

**„თავდაპირველად „სირცხვილიამ“ გადაწყვიტა, რეგისტრაცია გაევლო, მაგრამ შეხვდათ თავისივე ე.წ. ბაბლის არნახული დამუნათება-ბულინგი, ამის შემდეგ მეორე საშიშროებაც გაჩნდა, რომ არ ექნებოდა გარე დაფინანსება მავნებელი სპონსორებისგან. შესაბამისად, „სირცხვილიამ“ შეცვალა გადაწყვეტილება, მაგრამ კიდევ უფრო უარესი შედეგი მოჰყვა ამას, რადგან თავიანთ კლასტერში თავი დაიმკვიდრა, როგორც არასანდო, მოღალატე ორგანიზაციამ. ეს მათი პრობლემაა, ეს არ არის ქართული საზოგადოების პრობლემა. საბოლოო ჯამში, ამას წერტილი დაესმება 26 ოქტომბრის არჩევნებზე“, – დასძინა გია აბაშიძემ.**

მოამზადა
**მანანა ნოზაძემ**

# წმენდა თუ გადატვირთვა?!



# რა ხდება უკრაინის მთავრობაში?

**უკრაინის სამხედრო და პოლიტიკურ ხელმძღვანელობაში სერიოზული საკადრო ცვლილებებია. 4 სექტემბერს თანამდებობიდან გადადგომის განცხადება დაწერა საგარეო საქმეთა მინისტრმა დმიტრო კულებამ, წინა დღით მინისტრთა კაბინეტი დატოვა ორმა ვიცე-პრემიერმა და სამმა მინისტრმა.**

**ასევე მნიშვნელოვანი ცვლილებებია პრეზიდენტის ადმინისტრაციასა და სამხედრო-საჰაერო ძალების სარდლობაში. როგორც პრეზიდენტ ზელენსკის გუნდის წევრები ირწმუნებიან, მთავრობაში ცვლილებები კიდევ უფრო გაღრმავდება და გაფართოვდება.**

უკრაინის მმართველი პარტიის ერთ-ერთმა ლიდერმა და უკრაინის რადის ფრაქცია „სლუგა ნაროდას“ თავმჯდომარემ დავით არახამიამ თავის Telegram-არხზე დაწერა, რომ დაიწყო მთავრობის დიდი გადატვირთვა.

„ცვლილებები შეეხება მინისტრთა კაბინეტის წევრთა ნახევარზე მეტს. ხვალ გველოდება გათავისუფლებების დღე, ზეგ – დანიშვნების. საბოლოო სია ფრაქციის სხდომაზე დაზუსტდება“, – დაწერა დავით არახამიამ.

**თანამდებობები დატოვეს ან გადადგომის განცხადებები დაწერეს:**

**დმიტრო კულება** – საგარეო საქმეთა მინისტრი

**ოლექსანდრ კამიშინი** – მრეწველობის სტრატეგიული დარგების მინისტრი

**დენის მალიუსკა** – იუსტიციის მინისტრი

**რუსლან სტრელეცი** – გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრი

**ირინა ვერეშჩუკი** – ვიცე-პრემიერი და დროებით ოკუპირებული ტერიტორიების რეინტეგრაციის მინისტრი

**ოლგა სტეფანიშინა** – ვიცე-პრემიერი ევროინტეგრაციის საკითხებში

**ვიტალი კოვალი** – სახელმწიფო საკუთრების ფონდი

**როსტისლავ შურმა** – პრეზიდენტის ადმინისტრაციის უფროსის მოადგილე

ერთი თვის წინ თანამდებობები დატოვეს **ალექსანდრ კუბრაკოვმა** (ვიცე-პრემიერი ქვეყნის რეკონსტრუქციის საკითხებში) და **მუსტაფა ნაიემმა** (უკრაინის ინფრასტრუქტურის რეკონსტრუქციისა და განვითარების სააგენტოს ხელმძღვანელი).

დმიტრო კულებას განცხადება სოციალურ ქსელში გამოაქვეყნა უმაღლესი რადის თავმჯდომარემ რუსლან სტეფანჩუკმა.

დმიტრო კულებას თანამდებობიდან მოსალოდნელი გადაყენების შესახებ ჯერ კიდევ რამდენიმე დღის წინ წერდა „უკრაინსკა პრავდა“ პრეზიდენტ ვოლოდიმირ ზელენსკისთან დაახლოებულ წყაროებზე დაყრდნობით. გამოცემა იმასაც ვარაუდობდა, რომ კულებას მისი პირველი მოადგილე ანდრეი სიბიგა შეცვლიდა.

**ანდრეი სიბიგა** – კარიერული დიპლომატი. მუშაობდა საგარეო საქმეთა სამინისტროში სხვადასხვა თანამდებობაზე, 2016 წლიდან 2021 წლამდე იყო უკრაინის ელჩი თურქეთში, შემდეგ კი (2021-2024 წწ.) ეკავა პრეზიდენტის აპარატის უფროსის მოადგილის თანამდებობა. კურირებდა საგარეო პოლიტიკის საკითხებს.

თავად კულებას გადადგომის მიზეზებზე კომენტარი არ გაუკეთებია. პირდაპირი განმარტებებისგან თავი შეიკავა ვოლოდიმირ ზელენსკიმაც.

**ბრიტანეთის სამაუწყებლო კომპანიის უკრაინული სამსახურის ინფორმაციით უკრაინის ხელისუფლებაში დაწყებული მასშტაბური საკადრო ცვლილებები არსებითად არაფერს შეცვლის შემდეგი მიზეზების გამო:**

ცვლილებებს არ ექნება მოულოდნელობის ეფექტი, რადგან მის შესახებ თითქმის ნახევარი წლის განმავლობაში საუბრობდნენ. რამდენჯერმე დაანონსდა პრემიერ-მინისტრ დენის შმიგალის შეცვლაც.

უკრაინაში ნებისმიერი საკადრო როტაცია, მოულოდნელი თუ მოსალოდნელი, დიდი ხანია გაუფერულდა მიმდინარე ომის ტრაგიკული მოვლენების ფონზე. ვის აინტერესებს გარემოს დაცვის, იუსტიციის ან თუნდაც საგარეო საქმეთა მინისტრის შეცვლა იმ დროს, როცა ნანგრევებიდან ხალხია გამოსაყვანი.

რა აზრი აქვს სამთავრობო ცვლილებებს, თუკი მთავრობის გავლენის ხარისხი უმნიშვნელოა. რუსეთის სრულმასშტაბიანმა შეჭრამ უკრაინაში ბუნებრივად გამოიწვია უკრაინის გარდაქმნა სუპერსაპრეზიდენტო რესპუბლიკად, რომელშიც რეალური ძალაუფლება პრეზიდენტის ოფისის ხელშია.

**ვახტანგ კაპანაძე, გადამდგარი გენერალ-მაიორი და საქართველოს შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის ყოფილი უფროსი ამბობს, რომ ესმის სამხედრო-საჰაერო ძალებში განხორციელებული ცვლილებების ლოგიკა.**

**„გასაგებია, რომ ის თვითმფრინავი (F-16) არ ჩამოუგდიათ რუსებს, არ არის გამორიცხული, რომ ე.წ. მეგობრული ცეცხლით იქნა ჩამოგდებული. სამი წელია საომარი მოქმედებები მიმდინარეობს. ბევრი რამ, რაც შიდა სამზარეულოში იხარშება, ჩვენ არ ვიცით. სამი წელია ძალიან მძიმე მდგომარეობაა უკრაინაში. დასამალი არ არის, რომ გარკვეულ სფეროებში ადგილი აქვს კორუფციულ საქმიანობას, მათ შორის დახმარებებთან დაკავშირებითაც... ცვლილებები გამოწვეულია გარკვეული ხარვეზებით... კულებას მინისტრობის დროს მოხდა მასშტაბური საერთაშორისო დახმარებების მიღება, მაგრამ შესაძლოა საჭიროა კიდევ უფრო გაუმჯობესდეს საგარეო ურთიერთობების მიმართულება... ალბათ, ასევე საჭიროა სისხლის განახლება პოლიტიკურ ისტებლიშმენტში“...**

**რონდელის ფონდის მკვლევარი ზურაბ ბატიაშვილი კი იხსენებს სხვა არანაკლებ მნიშვნელოვან საკადრო ცვლილებებს, მათ შორის თავდაცვის მინისტრისას, რომელიც შარშან შეცვალეს.**

**„ომთან დაკავშირებით უკრაინას სჭირდება ახალი ძალები იმისთვის, რათა უფრო ენერგიულად დაიცვას თავი და სადაც შეუძლია კონტრშეტევაზე გადავიდეს. ყველამ ნახა, თუნდაც კურსკის მაგალითზე, რომ უკრაინას ამის ძალა გააჩნია, თუმცა მას სჭირდება მეტი შეიარაღება. თუ შევხედავთ, რომელი მინისტრები გადადგნენ – ერთი შეიარაღების წარმოებასთან არის დაკავშირებული, მეორე კი იარაღის მიწოდებასთან... უცხოეთიდან დაპირებული იარაღის მიწოდება შეფერხებული იყო და დროულად ვერ ხერხდებოდა მიღება. შეიძლება ეს იყო ერთ-ერთი მიზეზი, ოღონდ არა ერთადერთი. მთავარი მიზეზი მაინც ის ომია, რომელსაც რუსეთი აწარმოებს უკრაინის წინააღმდეგ და საკადრო ცვლილებებიც კეთდება იმისთვის, რომ უკეთესად გაუმკლავდნენ მტერს“.**

ექსპერტთა ნაწილი ვარაუდობს, რომ კულებას „ბრალდება“ ის, რომ ვერ მოხერხდა დასავლეთიდან გარდამტეხი მასშტაბის დახმარების მიღება და, რომ უკრაინამ დღემდე ვერ მიიღო დასავლური იარაღის შეუზღუდავი გამოყენების უფლება. ექსპერტები ასევე კულებას პასუხისმგებლობას ხედავენ იმაში, რომ მონღოლეთმა უარი არ უთხრა ჰააგის ტრიბუნალის მიერ ძებნილ პუტინს ულან-ბატორში მასპინძლობაზე.

## რატომ არ დააკავეს პუტინი მონღოლეთში?

**„ძნელია ვილაპარაკოთ მხოლოდ კულებას როლსა და ბრალეულობაზე, – ამბობს ზურაბ ბატიაშვილი, – მონღოლეთს დიდი არჩევანი არც ჰქონდა: მას ჰყავს მეზობლად ჩინეთი, რომელთანაც საკმაოდ რთული ურთიერთობა აქვს. მისი მეორე მეზობელია რუსეთი, რომლის ენერგომატარებლებზეც დამოკიდებულება წარმოუდგენლად მაღალია. მასპინძლობაზე უარის თქმა ძალიან ძნელია მაშინ, როცა, ერთი მხრივ, მთლიანად ხარ დამოკიდებული და, მეორე მხრივ, ვერ ხედავ მსოფლიო ლიდერი ქვეყნების იმ მხარდაჭერას, რაც ასეთი ნაბიჯის გადასადგმელად არის საჭირო. უნდა შევხედოთ რა საშუალებები გააჩნია ამ ქვეყანას. მონღოლეთი არ არის სუპერსახელმწიფო და არც დასავლეთის ნაწილი, რომ იგი გარედან დახმარების გარეშე ასეთ საკითხებში იყოს ძლიერი“.**

ზურაბ ბატიაშვილის თქმით, დმიტრო კულებას ასევე ვერ დაბრალდება ჩინეთის და აღმოსავლეთის მიმართულებით უკრაინული დიპლომატიის არაეფექტიანი მოქმედება.

**„ჩინეთის პოზიციას ვერც კულება შეცვლის და ვერც ის, ვინც კულებას ადგილზე მივა. ჩინეთს აქვს პრეტენზია, რომ მსოფლიოში მეორე სუპერძალაა და თვითონ განსაზღვრავს თამაშის წესებს. თუმცა ვერ გამოვრიცხავთ ისეთი დეტალების არსებობას, რომლებიც არ გასაჯაროებულა და რომლებზეც უკრაინის ხელისუფლება ფიქრობს, რომ მეტის გაკეთება შეიძლებოდა და, რომ უკრაინის საგარეო პოლიტიკა ამ მიმართულებით უფრო აქტიური უნდა იყოს“, – უთხრა ზურაბ ბატიაშვილმა რადიო თავისუფლებას.**

* * *

**უკრაინის მთავრობის გარდა, ბოლო დღეებში, მნიშვნელოვანი ცვლილებები განხორციელდა სამხედრო ხელმძღვანელობაშიც. კერძოდ, თანამდებობა დაატოვებინეს:**

**მიკოლა ოლეშჩუკს** – უკრაინის შეიარაღებული ძალების საჰაერო ძალების სარდალს, გენერალ-ლეიტენანტს;

**რომან გლადკს** – უპილოტო სისტემების ძალების სარდლობის შტაბის უფროსს.

რომან გლადკი უკრაინის უმაღლესი რადის დეპუტატების თქმით, ეჭვმიტანილია კორუფციასა და ღალატში. ამის შესახებ უკრაინის უმაღლესი რადის დეპუტატმა მარიანა ბეზუგლაიამ განაცხადა. გლადკი „ყირიმელია“, არ აქვს დრონებთან მუშაობის გამოცდილება, ეჭვმიტანილი იყო ღალატსა და კორუფციაში, „და ასევე ჰყავს რუსულპასპორტიანი ცოლი“, – თქვა ბეზუგლაიამ.

გარდა ამისა, რადამ უშიშროების სამსახურს სთხოვა შეემოწმებინა, ჰქონდა თუ არა თავად გლადკის რუსული პასპორტი.

„24 არხი“ წყაროებზე დაყრდნობით იტყობინება, რომ გენერალმა გლადკიმ თანამდებობაზე დანიშვნის წინ „ვერ გაიარა უშიშროების შემოწმება“.

გლადკი უკრაინის საზღვაო ძალების შტაბის უფროსის თანამდებობას იკავებდა 2016 წლის ივლისიდან 2018 წლის აპრილამდე. თანამდებობიდან კი გაათავისუფლეს მედიაში გაჟონილი სკანდალის ფონზე: „უკრინფორმმა“ დაწერა, რომ გლადკის მოცურავე ქალიშვილი „მონაწილეობდა რუსეთის არმიის კლუბების ჩემპიონატში“, ხოლო რუსეთის სპეცსამსახურები, ტელეკომპანია TCH-ს ინფორმაციით, თავად გლადკის გადაბირებას ცდილობდნენ. ამის შემდეგ უკრაინის საზღვაო ძალების პრესსამსახურმა განაცხადა, რომ გლადკი „უკრაინის თავდაცვის სამინისტროს კადრების განკარგულებაში ჩაირიცხა მისი მომავალი სამსახურებრივი პოზიციის დასადგენად“.

რაც შეეხება უკრაინის შეიარაღებული ძალების საჰაერო ძალების სარდალს, გენერალ-ლეიტენანტ მიკოლა ოლეშჩუკს. უკრაინის თავდაცვის მინისტრის რუსტემ უმეროვის თქმით, მისი თანამდებობიდან გათავისუფლება დაკავშირებულია როტაციასთან და არა ამერიკული F-16 გამანადგურებლის ჩამოვარდნასთან.

26 აგვისტოს უკრაინამ დაკარგა პირველი ამერიკული F-16 გამანადგურებელი. The Wall Street Journal-ი წყაროზე დაყრდნობით წერდა, რომ კატასტროფის მიზეზი სავარაუდოდ პილოტის შეცდომა იყო. თვითმფრინავს მართავდა პილოტი ოლექსი მესი, რომელიც დაიღუპა.

**უკრაინის პრეზიდენტმა ვოლოდიმირ ზელენსკიმ მიკოლა ოლეშჩუკი 30 აგვისტოს გაათავისუფლა. მის ნაცვლად მოვალეობის შემსრულებლად დაინიშნა გენერალ-ლეიტენანტი ანატოლი კრივონოჟკო. ცვლილებების კომენტირებისას, ზელენსკიმ არ დაასახელა F-16-ის ჩამოვარდნის მიზეზი, მაგრამ აღნიშნა, რომ უკრაინის შეიარაღებული ძალების საჰაერო ძალების მეთაურობის დონე საჭიროებს „გაძლიერებას“. ერთ-ერთი ვერსიით, F-16 გამანადგურებელი შეიძლება შეცდომით ჩამოაგდეს თვითონ უკრაინელებმა (ე.წ. მეგობრული ცეცხლი) საზენიტო სარაკეტო სისტემის Patriot-ის მეშვეობით.**

**ჯიმშერ რეხვიაშვილი,**
„რადიო თავისუფლება“

## სერგეი ლავროვი: ნუ ეხუმრებით ჩვენს „წითელ ხაზებს“!

**რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა სერგეი ლავროვმა კომენტარი გააკეთა ცნობაზე იმის თაობაზე, რომ ჯო ბაიდენის ადმინისტრაცია განიხილავს უკრაინისთვის „ჰაერი-მიწა“ ტიპის რაკეტა JASSM-ების გამოყენების უფლების მიცემას. რაკეტების მოქმედების რადიუსი 900 კილომეტრამდეა, მათ F-16 გამანადგურებლებიდან უშვებენ.**

„მათ უნდა ესმოდეთ ჩვენი „წითელი ხაზების“ შესახებ. არ არის საჭირო ჩვენს „წითელ ხაზებზე“ ხუმრობა. და მათ მშვენივრად იციან, სად გადის ისინი,“ უთხრა ლავროვმა ვლადივოსტოკში მიცემულ ინტერვიუში სახელმწიფო ტელევიზიის ჟურნალისტ პაველ ზარუბინს.

## პიტერ ინგრამი: ეს კარგს არაფერს უქადის პუტინს!

**როგორც BBC შენიშნავს, სინამდვილეში რუსეთს საჯაროდ არ მოუნიშნავს „წითელი ხაზები“, რომელთა გადაკვეთა დასავლეთის ქვეყნებთან პირდაპირ სამხედრო კონფლიქტს გამოიწვევდა. ბევრი რამ, რაც უკრაინაში რუსეთის შეჭრის შემდეგ „რუსეთის წითელ ხაზებად“ მოიაზრებოდა, უკვე გადალახულია. ამის ერთ-ერთი ნათელი მაგალითია ის, რომ უკრაინა შეიჭრა რუსეთის კურსკის ოლქში, რაც დასავლეთში არ გაუპროტესტებიათ.**

ინტერვიუში ლავროვი ასევე ლაპარაკობს იმაზე, რომ დასავლელი ლიდერები თვითონ იზღუდავენ თავს უკრაინის მხარდაჭერაში.

„ამერიკელები გასცდნენ ზღურბლს, რომელიც თვითონვე მოინიშნეს,“ თქვა მან. „მათზე ზეწოლას ახორციელებენ და უკრაინის პრეზიდენტი ვოლოდიმირ ზელენსკი, რა თქმა უნდა, ამას ხედავს და ამას იყენებს,“ – დასძინა რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა.

## პუტინმა „უკვდავების (თუ ახალგაზრდობის?!) ელექსირის“ შექმნასთან დაკავშირებით ბრძანება გასცა!

**მკვლევრები კრემლის ოფიციალური პირების მოთხოვნაზე შეშფოთებას გამოთქვამენ, რადგან ასეთი წამლის შემუშავებას, შესაძლოა, წლები და მილიარდების კაპიტალი დასჭირდეს.**

გავრცელებული ინფორმაციით, დაბერების საწინააღმდეგო საშუალებების სწრაფად შესაქმნელად, ქსოვილების და ორგანოების დასაბეჭდად 3D ბიო-პრინტერებს იყენებენ. ასევე, უჯრედოვანი დაბერების წინააღმდეგ სპეციალური მეთოდები იქნება გამოყენებული.

გამოცემა აღნიშნავს, რომ პუტინი ხანდაზმული მეგობრებით არის გარშემორტყმული, ესენი არიან: რუსეთის სენატის სპიკერი ვალენტინა მატვიენკო (75), საგარეო საქმეთა მინისტრი სერგეი ლავროვი (74), FSB უსაფრთხოების სამსახურის უფროსი ალექსანდრე ბორტნიკოვი (72) და SVR ჯაშუშის უფროსი სერგეი ნარიშკინი (69).

რუსეთის პრეზიდენტი არჩევნებში გამარჯვების შედეგად, ხელისუფლებაში ყოფნას მინიმუმ 2036 წლამდე აპირებს, რაც იმას ნიშნავს, რომ სანამ საპრეზიდენტო ვადა ამოიწურება, ის უკვე ოთხმოც წელს მიაღწევს. The times-ი ვარაუდობს, რომ ეს არის ერთ-ერთი მიზეზი, რის გამოც მან ხელისუფლებას პროცესის დაჩქარება სთხოვა.

**The Times**

## წყალდიდობის შედეგებს რატომ ვერ გაუმკლავდითო?!

**ჩრდილოეთ კორეის ლიდერმა კიმ ჩენ ინმა ათობით საჯარო მოხელისა და პარტიული ლიდერის სიკვდილით დასჯის ბრძანება გასცა იმის გამო, რომ მათ წყალდიდობით გამოწვეულ ზარალს ვერ გაუმკლავდნენ.**

ინფორმაციას მედია სამხრეთკორეულ Chosun TV-ზე დაყრდნობით ავრცელებს. ტელეარხის ცნობით, დახვრეტილია 20-30 ადამიანი. მათ ბრალად ედებოდათ ის, რომ ვერ მოახერხეს მოქალაქეების დაღუპვის და



ინფრასტრუქტურისთვის მიყენებული ზარალის პრევენცია.

ჩრდილოეთ კორეაში წყალდიდობების სერია ივლისში, ძლიერი წვიმის გამო დადასტურდა. დაზიანდა გზები, დაიტბორა სამეურნეო მიწები და 4 ათასზე მეტი საცხოვრებელი სახლი. სამხრეთკორეული მედია 1500 გარდაცვლილის შესახებ წერდა, თუმცა კიმ ჩენ ინმა ამ ინფორმაციას სიცრუე უწოდა

## უგანდელი ოლიმპიელი საკუთარმა ბოიფრენდმა ბენზინით დაწვა

**უგანდაში პარიზის ოლიმპიური თამაშების მონაწილე რებეკა ჩეპტეგი გარდაიცვალა.**

BBC-ს ცნობით, 33 წლის სპორტსმენს ყოფილი შეყვარებული კვირას დაესხა თავს, როდესაც ქალი



სახლში ეკლესიიდან ბრუნდებოდა. კაცმა მას ბენზინი გადაასხა და ცეცხლი წაუკიდა. ექიმები ჩეპტეგის გადარჩენას რამდენიმე დღის განმავლობაში უშედეგოდ ცდილობდნენ.

ამ დრომდე მედიკოსების დაკვირვების ქვეშ რჩება თვითონ თავდამსხმელიც, რომელსაც გაცილებით მსუბუქი დამწვრობა აღენიშნება.

ადგილობრივი მედიის ცნობით, ჩეპტეგის ყოფილ პარტნიორთან დავა მიწის ნაკვეთის გამო ჰქონდა. მომხდარზე მიმდინარეობს გამოძიება.

ჩეპტეგიმ პარიზის ოლიმპიურ თამაშებზე მარათონი 44-ე ადგილზე დაასრულა.

## მიგრანტების ნავის ჩაძირვის შედეგად 12 ადამიანი დაიღუპა



**საფრანგეთის სანაპიროსთან, ინგლისის არხში მიგრანტების ნავი გადაბრუნდა და 12 ადამიანი დაიღუპა.**

მედიის ცნობით, დაღუპულებს შორის 6 ბავშვი და ერთი ორსული ქალია.

როგორც საფრანგეთის სანაპირო დაცვამ განაცხადა, 50-ზე მეტი ადამიანის გადარჩენა მოხერხდა ქალაქ ბულონ-სიურ-მერთან მახლობლად მდებარე გრისნეზის კონცხთან. გადარჩენილებიდან ორი კრიტიკულ მდგომარეობაშია.

ოფიციალური პირების თქმით, ნავი გადატვირთული იყო, ბორტზე კი სამაშველო ჟილეტი მხოლოდ რვა ადამიანს ეცვა.

# პუტინი ხაფანგს ამზადებს




**რა იქნება კურსკის ოპერაციის სამხედრო და პოლიტიკური ფასი? - ამ ეტაპზე რუსეთმა მოახერხა და უკრაინის წინსვლა კურსკში შეაჩერა, თუმცა პუტინი იმუქრება და ამბობს, რომ უკრაინა ამისთვის სათანადო პასუხს მიიღებს. პუტინი ამბობს, რომ მოწინააღმდეგეს მოლაპარაკებებისთვის პოზიციების გაძლიერება უნდოდა, თუმცა მოლაპარაკება ახლა, ამ ვითარებაში არ განიხილება. უკრაინის ათობით დასახლება ბოლო დღეების განმავლობში რუსეთის მხრიდან გაძლიერებული საჰაერო იერიშის სამიზნე გახდა. ენერგეტიკული ინფრასტრუქტურის დაზიანების გამო, არაერთ რეგიონში მოსახლეობას დენისა და წყლის მიწოდება შეეზღუდა.**

სხვადასხვა ინფორმაციის მიხედვით, ორივე მხარე კურსკის რეგიონში საბრძოლო სიმაგრეებს აშენებს. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, რუსეთის ტერიტორიაზე უცხო ქვეყნის ძალების ყველაზე დიდი შეჭრა, არც მცირე ოპერაცია აღმოჩნდა, არც უბრალოდ სამხედრო რეიდი, როგორც ამას თავიდან ვარაუდობდნენ, თუმცა პუტინი ამ სიტუაციას არ იმჩნევს და საპასუხო ნაბიჯების გადადგმისთვის ემზადება. ანალიტიკოსები შიშობენ, რომ შესაძლოა რუსეთმა უკრაინის შეიარაღებული ძალები კურსკში შეიტყუოს და ხაფანგში აღმოჩნდნენ.

თუმცა უკრაინის პრეზიდენტი ვოლოდიმირ ზელენსკი ამბობს, რომ კურსკის რეგიონში ოპერაცია გეგმის მიხედვით მიმდინარეობს. აქვე აღიარებს, რომ პოკროვსკის და ტორეცკის მიმართულებებზე რუსები შეტევას წარმატებით ახორციელებენ.

**სამხედრო** ანალიტიკოსი **ვახტანგ მაისაია** ამბობს, რომ ამ ეტაპზე კურსკში ორივე მხარე მყარად დგას, თუმცა რუსეთმა მოახერხა და უკრაინის წინსვლა ამ ეტაპზე შეაჩერა. ასევე



ანალიტიკოსი განმარტავს, რომ ვლადიმერ პუტინი ცდილობს კურსკში მიმდინარე მოვლენები არ შეიმჩნიოს და მისთვის სამხედრო სტრატეგიის მხრივ ნაკლებად მნიშვნელოვან ტერიტორიაზე მოლაპარაკებები არ აწარმოოს. თუმცა ანალიტიკოსი მიიჩნევს, რომ კურსკის ოპერაცია სამ მნიშვნელოვან ამოცანას მაინც ასრულებს.

**„ამ ეტაპზე მართალია კურსკში მიმდინარე ოპერაციას პუტინი ცდილობს, ნაკლები მნიშვნელობა მიანიჭოს, თუმცა კურსკის დაკავება უკრაინელებმა მოახერხეს და მთელს მსოფლიოს აჩვენეს, რომ რუსეთი არც ისეთი უძლეველია, როგორადაც ჩანს და მისი ტერიტორიების ოკუპაციაც შესაძლებელია. ეს კი, ბუნებრივია, თავის ფსიქოლოგიურ გავლენას რუსეთის მოსახლეობაზე ახდენს. ასევე უკრაინის საბრძოლო მოქმედებების კონტექსტიდან გამომდინარე, მოსახლეობის პატრიოტული სულის ამაღლება ხდება და იმის ჩვენება, რომ უკრაინის დანაყოფებს მსგავსი ოპერაციის ჩატარება რუსეთის ტერიტორიაზე შეუძლია. თუმცა ამის მიუხედავად, დონბასის მონაკვეთზე ეს ნაკლებად შეიმჩნევა, რადგან რუსები ფრონტის ხაზის გარღვევას ახერხებენ. განსაკუთრებით დონეცკის ფრონტზე სახიფათო მდგომარეობაა. ალბათ, ახლა უკრაინელები შეეცდებიან, ოკუპირებულ ტერიტორიებზე კონტრშეტევა განახორციელონ ზაპოროჟიეს ფრონტის კუთხიდან. ამით კი ეცდებიან კურსკის და ზაპოროჟიეს მიმართულებაზე პლაცდარმი შექმნან და კურსკში პოზიციები კიდევ გაიმყარონ. ვფიქრობ, ამის პარალელურად პუტინი მოქმედებას დაიწყებს და რუსეთში ფარულ მობილიზაციას გამოაცხადებს. ალბათ, კურსკის გაწმენდას ამ ძალებით შეეცდება“**, – ამბობს მაისაია.

რაც შეეხება პოკროვსკის და ტორეცკის მიმართულებით არსებულ მძიმე ვითარებას და ზელენსკის განცხადებას, რომ კურსკში განვითარებული მოვლენები ამ სურათს შეცვლის, მაისაია ამბობს, რომ ზელენსკი ამით ცდილობს ფსიქოლოგიური მეთოდი გამოიყენოს და რუსეთის შეტევას ნაკლები მნიშვნელობა მიანიჭოს. თუმცა სამხედრო ანალიტიკოსი ამბობს, რომ სიტუაცია არ არის ამ მიმართულებებზე სახარბიელო და რუსები ცდილობენ ოპერატიული უპირატესობა ხელთ იგდონ.

**„ფაქტია, რომ პუტინს კურსკის ტერიტორია ნაკლებად ანაღვლებს. ეს მის განცხადებებშიც ჩანს. იქნება თუ არა ის ოკუპირებული, როგორც ჩანს, ნაკლებ სტრატეგიულ მნიშვნელობას ანიჭებს. მეორე მხრივ, რუსები ეცდებიან, რომ კურსკში უკრაინელებს მახის მსგავსი მოუწყონ და მსხვილი ძალების ალყაში მოქცევა მოახერხონ. თუკი ეს შეძლეს, ისინი კურსკიდან სუმის ტერიტორიის ოკუპაციას შეეცდებიან. პუტინი კურსკის დაკავებას დროებით მოვლენად მიიჩნევს და მის გაწმენდას ფრთხილად შეეცდება. თანაც ფიქრობს, რომ არსად არ ეჩქარება და კურსკის დაკავებით მას არცთუ დიდი ზარალი მიადგა. ისე გამოდის, რომ პუტინი რუსეთის გენერალიტეტს აძლევს მითითებას, რომ კურსკში მიმდინარე პროცესი ნაკლებად შეიმჩნიონ და დონბასის მიმართულება არ შეასუსტონ. როგორც ზელენსკი, ისე პუტინი ომის ფსიქოლოგიით თამაშობენ. პუტინი არ არის ისეთი გულუბრყვილო, რომ ვერ მიმხვდარიყო, კურსკი რაში სჭირდებათ და რუსეთზე რა სახის დაწოლისთვის იყენებენ“**,-ამბობს მაისაია.

მისივე თქმით, რადგან უკრაინას ნაკლებად ჰქონდა შესაძლებლობა საკუთარ ტერიტორიაზე კონტრშეტევაზე გადასულიყვნენ, ალტერნატიულ სუსტ წერტილად კურსკი ჩანდა. ამიტომ მას დაარტყეს და რუსულ ტერიტორიაზე შექმნეს პლაცდარმი, რადგან შემდეგ სავაჭრო ჰქონოდათ. ამ ეტაპზე პუტინი ამას მშვენივრად მიხვდა და მის შემჩნევას არ აპირებს.

**„ის, რაც ახლა უკრაინამ გააკეთა, ესეც საბჭოთა კავშირის ძველი მეთოდიკაა. უკრაინელები არაფერ ახალს არ აკეთებენ. მართალია ეს ხდება დასავლელი ინსტრუქტორების დახმარებით, მაგრამ ისინი აქ საბჭოთა კავშირის მეთოდს იყენებენ. აქედან გამომდინარე, დიდი გასაკვირი ამაში არაფერია. პუტინს აქვს საშუალება რომ სექტემბერ - ოქტომბერში რუსები კონტრშეტევაზე გადავიდნენ და ის მსხვილი შენაერთები, რომელიც უკრაინელებმა კურსკში გადაისროლეს, ხაფანგში მოახვედრონ, მათი განადგურება მოახდინონ და შემდეგ შეტევაზე გადავიდნენ. ბუნებრივია, ამ გაწვრთნილი და მომზადებული დანაყოფების ალყაში მოხვედრა ძალიან მძიმე იქნება. თუმცა უკრაინელები თავისას ცდილობენ და ისინი კურსკში პოზიციების შენარჩუნებას მაქსიმალურად შეეცდებიან. ვნახოთ, მოვლენები როგორ განვითარდება, პუტინი რომ გარკვეულ საპასუხო ნაბიჯებს გადადგამს, ეს ფაქტია“**, – ამბობს მაისაია.

**for.ge, ლიკა ბერიკაშვილი**

◎ სნაიპერი

# ვერცხლის შაშხანა

**პარიზის პარალიმპიადაზე ქართული დელეგაციის ყულაბაში პირველი ვერცხლი 50 მეტრიდან შაშხანის სროლაში უკვე თმაშევერცხლილმა საკმაოდ ტიტულოვანმა პარამსროლელმა ლადო ჭინჭარაულმა ჩააჩხრიალა და ჯვაროსანთა საერთო მონაგარი 4 მედლამდე გაზარდა (1 ოქრო, 1 ვერცხლი და 2 ბრინჯაო).**

ჩვენი სნაიპერი ფინალურ ბლოკში მე-6 შედეგით შევიდა, თუმცა ერთ მომენტში დაწინაურდა კიდეც და საბოლოოდ სერბ ჩემპიონს მხოლოდ 2 ქულით ჩამორჩა. ყოჩაღ!

# კარგი მამის კარგი შვილი

საამაყო ლადო!

*ძვირფასი მამის – ზეციურ საქართველოში ამაღლებული დაუვიწყარი ბესო ჭინჭარაულის ჯგუფელები სულითა და გულით გილოცავთ უდიდეს წარმატებას და შუაგულ ევროპაში სამშობლოს ღირსეულად წარმოჩენას.*



*შენ ერთი ციცქნა გვახსოვხარ, როცა სტუდენტობის დაწყების აღსანიშნავ მეგობრულ საღამოზე აკვანში ჩაკრული გაგიცანით და პაპის მოსახელეს, საბურთალოზე ნაქირავებ სიყვარულის ოთახში თავს გევლებოდნენ ახალგაზრდა მშობლები, რომლებიც სტუმართა ღირსეულად გამასპინძლებასაც ახერხებდნენ.*

*გული გულობდა და იმიტომ.*

*კიდევ – ტრადიციული ქართული ოჯახის შვილი ხარ და იმიტომ.*

*ის საბედისწერო დღეც გვახსოვს, ალაზანზე მომხდარი უბედური შემთხვევის გამო საღსალამათ ვაჟკაცს ჯანმრთელობა რომ შეგერყა, მაგრამ სულის სიძლიერე შეინარჩუნე და, აჰა, უზომოდაც გაგვახარე.*

*მომავალ მიღწევათა იმედით,*

**გელა შაიშმელაშვილი, კოტე უზირია, გოჩა კაპილაძე, ნუგზარ ჟვანია, ამირან კიღურაძე, გია პლატონიშვილი.**

◎ აფხაზეთის შვილი



**როგორც ინფორმაცია გავრცელდა, ამ დღეებში აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის თანამდებობას საკუთარი განცხადების საფუძველზე 5-წლიანი მოღვაწეობის შემდეგ გათავისუფლებული რუსლან აბაშიძის ნაცვლად ახლო წარსულში თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კალათბურთელთა გუნდის ლიდერი და საქართველოს პარლამენტში ქართული ოცნების მოქმედი დეპუტატი ლევან მგალობლიშვილი დაიკავებს.**

# პირი გამოირეცხეთ, ბნელეთო!

როგორც ყოველთვის, ხელმოცარულმა ოპოზიციამ აღნიშნული ფაქტის გასაჯაროვებისთანავე ერთი ამბავი ატეხა – როგორ თუ ნდობას მმართველი პოლიტიკური ძალის იმ წარმომადგენელს უცხადებთ, რომელიც სხვათაგან სამშენებლო ბიზნესში წილებითა და, რაც მთავარია, ქვეყნის უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოში კოლეგა ქალბატონებზე გენდერული ნიშნით აგრესიული დამოკიდებულებით გამოირჩევაო. ბუნებრივია, არც იმის წასისინება დავიწყნიათ, რომ მოახლოებულ ისტორიულ არჩევნებში დევნილ მოსახლეობაში მისთვის ძვირფასი ხმების მთავრობის სასარგებლოდ მოხვეტის დაკისრება დაეანონსებინათ.

ჯერ ერთი, ვისაც ლევანის ჯიგრიანი თამაში ახსოვს სტუდენტთა შემადგენლობაში, არ გაუკვირდება მისი სამართლიანი, თუნდაც ემოციური პოზიცია იმ ენაჭარტალა ალქაჯთა მიმართ, ვინც არად დაგიდევთ პოლემიკის საყოველთაოდ მიღებულ ნორმებს და მიკროფონს სიძულვილის ენის პროპაგანდისთვის იყენებს.

და მეორე – ნაციონალური კოშმარის ადეპტებსა და ჩვრებს რატომღაც არ გახსენებიათ, რომ დაწინაურების კანდიდატის ბიოგრაფია სწორედ შავიზღვისპირეთის მარგალიტს უკავშირდება და ლეგენდარული ფსიქიატრის, სეპარატისტთა მიერ უღვთოდ დახვრეტილი ბიძინა მგალობლიშვილის (დიახ, აქაც ბიძინასი) პირდაპირი შთამომავალი დიახაც იმსახურებს სამშობლოსათვის მსახურებისათვის შანსის მიცემას.

რაც შეეხება გენდერულ ჭინთვებს, ანტისახელმწიფოებრივმა ძალებმა ჯერ საკუთარი სამარცხვინო თანამოაზრის – ლაშა ბაქრაძის უზრდელობა შეაფასონ, რომელმაც ახალგაზრდობის საყვარელი ლექტორის ხსოვნა ლაფში ამოსვარა და ლექსიკაში სიტყვა ნახმარი გამოიყენა. აფსუს, აკაკი ბაქრაძის შვილო!

# ◎ საფეხბურთო მოზაიკა

**საქართველოს ნაკრებში მიმდინარე შეკრებაზე სამი დებიუტანტია – ცენტრალური მცველები საბა გოგლიჩიძე (ემპოლი, იტალია) და ლუკა გადრანი (კაირათი, ყაზახეთი), ცენტრალური ნახევარმცველი შოთა ნონიკაშვილი (ჩერკასი, უკრაინა).**

მათ გუნდში გამოძახებისა და პირველი ემოციების შესახებ კომენტარი გააკეთეს:

**შოთა ნონიკაშვილი (ეროვნული ნაკრების წევრი):** „თითოეული ფეხბურთელისთვის მთავარი ოცნება ნაკრებში გამოძახებაა. ბედნიერი ვარ, რომ ეს ოცნება რეალობად იქცა. რთულია სიტყვებით იმის გადმოცემა, თუ რას ვგრძნობ ახლა. ყველაფერი ძალიან კარგად მიდის, ნაკრებში ოჯახური გარემოა. ქვეყნის მთავარ გუნდში ყოფნა დიდ სიხარულთან ერთად დიდი პასუხისმგებლობაა. ყველაზე ბედნიერი და ამაყი ვიყავი, როდესაც ოთახში ჩემი სახელობითი დროშა დამხვდა. ჩემი საფეხბურთო კარიერის ერთ-ერთი მთავარი მიზანი ნაწილობრივ შესრულდა და ეროვნულ გუნდში ვარ. ახლა კი, მთავარი მიზანი სანაკრებო დებიუტია, რასაც მოუთმენლად ველი“.

**ლუკა გადრანი (ეროვნული ნაკრების წევრი):** „მოხარული ვარ სანაკრებო გამოძახებით. ამისთვის ვშრომობდი და დამიფასდა, მომეცა შანსი გამოვადგე ჩემს ეროვნულ გუნდს. ეს ჩემი პირველი ნაბიჯებია ნაკრებში და დიდი სურვილი მაქვს, რომ კარიერის ბოლომდე გამოვადგე ჩემს ქვეყანას. იმედი მაქვს წარმატებით დავიწყებთ ერთა ლიგის ახალ გათამაშებას და გავიმარჯვებთ მოახლოებულ მატჩებში. ჩემი ქვეყნის ეროვნული გუნდისთვის, რაც შემიძლია ყველაფერს გავიღებ“.

**საბა გოგლიჩიძე (ეროვნული ნაკრების წევრი):** „ნაკრებში შესანიშნავი გარემოა. ბიჭები ძალიან თბილად დამხვდნენ. მიხარია და გაოცებულიც კი ვარ იმით, რაც ბოლო რამდენიმე დღის განმავლობაში მოხდა ჩემს ცხოვრებაში. თუმცა, ყველაფერი ჯერ კიდევ წინ არის და უფრო მეტის იმედი მაქვს. ევროპის ჩემპიონატს გულშემატკივრის როლში ვუყურებდი, თუმცა ორმაგი ემოციით, რადგან შესანიშნავად ვიცოდი ბიჭები რას გრძნობდნენ. ამავდროულად, ეს იყო მოტივაცია ჩემთვის, რადგან მეც შემეძლო ნაკრებში მოხვედრა და ეს ევროპის ჩემპიონატის დასრულების შემდეგ პირველივე შეკრებაზე მოხდა. მინდა მადლობა გადავუხადო სამწვრთნელო შტაბს ნდობისთვის და ვეცდები, რომ იმედები არ გავუცრუო“.

საქართველოს ეროვნული ნაკრები ერთა ლიგის „ბ“ დივიზიონში გამოვა, სადაც ჯგუფში ჩეხეთს, ალბანეთს და უკრაინას გაეჯიბრება. ვილი სანიოლის გუნდი 7 სექტემბერს, თბილისში, „მიხეილ მესხზე“ ჩეხეთს უმასპინძლებს, რომელსაც 22 ივნისს, ჰამბურგში, ევრო 2024-ის ჯგუფურ ეტაპზე დაუზავდა (1:1), ხოლო 10 სექტემბერს, ტირანაში, ალბანეთის ნაკრებს ესტუმრება.

* * *

ქართველ მეკარეს „ვალენსიასა“ და განსაკუთრებით ევრო 2024-ზე შესანიშნავი თამაში დაუფასდა და ლევ იაშინის სახელობის ჯილდოზე ნომინანტებში კარიერაში პირველად მოხვდა.

წლის საუკეთესო მეკარის პრიზისთვის იბრძოლებენ:

იან ზომერი (ინტერი, შვეიცარია), უნაი სიმონი (ბილბაო, ესპანეთი), რონუენ უილიამსი (სიუნდონი, სამხრეთ აფრიკა), ემილიანო მარტინესი (ასტონ ვილა, არგენტინა), **გიორგი მამარდაშვილი (ვალენსია, საქართველო),** მაიკ მენიო (მილანი, საფრანგეთი), ანდრეი ლუნინი (რეალი, უკრაინა), გრეგორი კობელი (დორტმუნდი, შვეიცარია), ჯანლუიჯი დონარუმა (პსჟ, იტალია), დიოგო კოშტა (პორტუ, პორტუგალია).

**France Football**-ი 2024 წლის საუკეთესო მეკარეს 28 ოქტომბერს დაასახელებს, როდესაც დაჯილდოების ცერემონია გაიმართება და ოქროს ბურთის გამარჯვებულიც გამოვლინდება.




ლევ იაშინის სახელობის პრიზს წლის საუკეთესო მეკარეს ფრანგული ჟურნალი 2019 წლიდან გადასცემს და დღემდე ის მოგებული აქვთ ალისონს, ჯანლუიჯი დონარუმას, ტიბო კურტუას და ემილიანო მარტინესს.

* * *

**France Football**-მა 2024 წლის „ოქროს ბურთზე“ 30 ნომინანტი დაასახელა, რომელთაგანაც ერთ-ერთი გამარჯვებული გახდება. აღსანიშნავია, რომ ნომინანტებს შორის ლიონელ მესი და კრიშტიანუ რონალდუ არ არიან.

2003 წლის შემდეგ პირველად **France Football**-ის ნომინანტების სია რონალდუს ან მესის გარეშე პირველადაა.

„ოქროს ბურთის“ მოგების შანსი წელს შემდეგ ფეხბურთელებს აქვთ:

ჯუდ ბელინგემი (რეალი, ინგლისი), ემილიანო მარტინესი (ასტონ ვილა, არგენტინა), ფილ ფოდენი (მანჩესტერ სიტი, ინგლისი), ფედერიკო ვალვერდე (რეალი, ურუგვაი), რუბენ დიაში (მანჩესტერ სიტი, პორტუგალია), არტიომ დოვბიკი (რომა, უკრაინა), გრანიტ ჯაკა (ლევერკუზენი, შვეიცარია), ნიკო უილიამსი (ბილბაო, ესპანეთი), ტონი კროოსი (რეალი, გერმანია), ერლინგ ჰოლანდი (მანჩესტერ სიტი, ნორვეგია), ვინისიუსი (რეალი, ბრაზილია), ფლორიან ვირტცი (ლევერკუზენი, გერმანია), დანი ოლმო (ბარსელონა, ესპანეთი), მატს ჰუმელსი (რომა, გერმანია), მარტინ ოდეგორი (არსენალი, ნორვეგია), დეკლან რაისი (არსენალი, ინგლისი), კოულ პალმერი (ჩელსი, ინგლისი), როდრი (მანჩესტერ სიტი, ესპანეთი), ვიტინია (პსჟ, პორტუგალია), ჰარი კეინი (ბაიერნი, ინგლისი), ბუკაიო საკა (არსენალი, ინგლისი), ლამინ იამალი (ბარსელონა, ესპანეთი), დანი კარვახალი (რეალი, ესპანეთი), ჰაქან ჩალჰანოღლუ (ინტერი, თურქეთი), უილიამ სალიბა (არსენალი, საფრანგეთი), კილიან მბაპე (რეალი, საფრანგეთი), ლაუტარო მარტინესი (ინტერი, არგენტინა), ადემოლა ლუკმანი (ატალანტა, ნიგერია), ანტონიო რიუდიგერი (რეალი, გერმანია), ალეხანდრო გრიმალდო (ლევერკუზენი, ესპანეთი).

შეგახსენებთ, რომ შარშან „ოქროს ბურთზე“ **ხვიჩა კვარაცხელია** მე-17 ადგილზე გავიდა. სამწუხაროდ, ამჯერად 30 ნომინანტს შორის ქართველი ფეხბურთელი არაა.

* * *

საქართველოს ნაკრების ფეხბურთელი **ნიკა კვეკვესკირი** სავარაუდოდ კარიერას უნგრულ „სპარტაკუსში“ გააგრძელებს.

32 წლის ნახევარმცველმა ევრო 2024-ის შემდეგ პოზნანის „ლეხთან“ კონტრაქტი გაწყვიტა და მას შემდეგ უგუნდოდაა, რის გამოც თავისუფალი აგენტია და ახალ გუნდს ეძებდა. მოსალოდნელია, რომ ეს გარიგება უახლოეს ხანში დადასტურდება.

„სპარტაკუსი“ უნგრეთის ჩემპიონატში 6 ტურის შემდეგ 4 ქულით ბოლოსწინა, მე-11 ადგილზეა.

ნიკა კვეკვესკირს „ლეხის“ გარდა, ასევე უთამაშია ზუგდიდის „ბაიაში“, „დინამო თბილისში“, „ცხინვალში“, „დილაში“, ბაქოს „ინტერში“, „გაბალასა“ და „ტობოლში“. საქართველოს ნაკრებში მან დღემდე 61 შეხვედრა ჩაატარა.

* * *

„ულსანის“ ფეხბურთელი **გიორგი არაბიძე** სამხრეთ კორეის ჩემპიონატის 29-ე ტურის სიმბოლურ ნაკრებში მოხვდა.

ქართველი ფეხბურთელი უშუალოდ „K“ ლიგის ვებგვერდმა გამოარჩია. გიორგი პირველად მოხვდა ტურის საუკეთესო 11-ეულში. მან გასულ ტურში „პოჰანგის“ წინააღმდეგ ბრწყინვალედ ითამაშა და მიუხედავად იმისა, რომ მოედანზე მხოლოდ 45 წუთი გაატარა, დუბლი შეასრულა.

გიორგი არაბიძეს სამხრეთკორეულ გუნდში 3 მატჩში 2 გოლი აქვს გატანილი.

„ულსანი“ 51 ქულით პირველ ადგილზეა, მომდევნო ტურში კი, 13 სექტემბერს, „განგვონს“ უმასპინძლებს.

## სულთათანა

# ლეგენდარულ მოჭიდავეს ალექსანდრე მედვედს საქართველოშიც გლოვობენ



ტელეფონში ჩემი უფროსი ვაჟის კონსტანტინე მერმანიშვილის ზარი გაისმა. ხმა არ ემორჩილებოდა: - „მამა, სპორტის ლეგენდა, ჩემი და შენი საყვარელი ადამიანი გარდაიცვალა“, შეშფოთებულმა მაუწყა ამბავი, რომელმაც არა მარტო ის, მთელი ბელორუსის სპორტული სამყარო შეძრა.

ალექსანდრე მედვედი, მსოფლიო სპორტის ლეგენდა, ჯერ ჩემი, შემდეგ კი ჩემი შვილის, კოსტიას სპორტული გზის გამკვალვი და თანამდგომი იყო. მედვედის მიერ დაარსებული სპორტის აკადემია ახალგაზრდების ჯანსაღი ცხოვრების მნიშვნელოვან ცენტრად იქცა. ბედნიერი ვიყავი, ჩემი ვაჟი იქ მწვრთნელად რომ მუშაობდა მოზარდებთან და არაერთხელ ჩამოიყვანა ბავშვები საქართველოში ბატონი ალექსანდრეს რჩევით, სპორტსმენები მამაშენსაც აჩვენე, ყმაწვილებს კარგ რჩევებს მისცემსო...

მადლიერების ნიჭით დაჯილდოებული ადამიანი იყო მედვედი. ერთხელ მითხრა: „ყოჩაღ მალხაზ, შენი მიღწევების გამო საბჭოთა კავშირის დამსახურებული მწვრთნელის წოდება მომანიჭესო“... და ამას ამბობდა უდიდესი სპორტსმენი – სამგზის ოლიმპიური, სამგზის ევროპის, ცხრაგზის საბჭოთა კავშირის ჩემპიონი, შვიდგზის მსოფლიო ჩემპიონი, არაერთი საერთაშორისო ტურნირის გამარჯვებული.

მაშინაც ვუთხარი და ახლაც მსოფლიოს გასაგონად ვიმეორებ: მადლობა ალექსანდრე მედვედს, რომელმაც იმხანად საქართველოდან ბელორუსის ჯარში გაწვეულ ახალგაზრდა კაცში მომავალი სპორტსმენი დაინახა. მადლობა მას მფარველობისთვის, მით უფრო მას შემდეგ, რაც გაიგო, რომ ობოლი ბიჭი ვიყავი, ჯერ კიდევ სკოლაში სწავლის პერიოდში გარდამეცვალა მშობლები. იმხანად უკვე სახელოვანმა სპორტსმენმა ყველაფერი გააკეთა ჩემ მიერ ურთულესი პრობლემების დასაძლევად. პირველ რიგში ეს იყო სამშობლოს ნოსტალგია, ასევე, როგორც ხუმრობით იტყოდა ხოლმე, „თავადური სიზარმაცე“. მადლობა, რომ მუდამ გვერდით მედგა, საბრძოლო ხალიჩასთან თუ მის მიღმა. მადლობა დიდ ადამიანს, რომელიც თავადაც ხარობდა ჩემი სიხარულით, მიღწევებით და გულწრფელად განიცდიდა სპორტულ კარიერაში ჩემს ოდნავ წაფორხილებასაც კი.



მ. მედვედი და მ მერმანიშვილი. 1984 წ.

რომ არა ეს საოცარი კაცი, ვერასოდეს მოვხვდებოდი საბჭოთა კავშირის ნაკრებში, ვერ გავხდებოდი საბჭოთა კავშირის ჩემპიონი მძიმე წონაში, ვერც ალტერნატიული ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი, ვერ „მოვსინჯავდი“ ბრინჯაოსა და ვერცხლის მედლებს და ვერც გამორჩეულ ჯილდოს – სპორტის დამსახურებული ოსტატის წოდებას მივიღებდი.

ტიტულოვანი სპორტსმენი ალექსანდრე მედვედი მწვრთნელობის დროსაც ბოლომდე იხარჯებოდა. საერთაშორისო ასპარეზობებზე მისი რჩევები კეთილ „საგზლად“ მახლდა, ხოლო, როდესაც შინ ვბრუნდებოდი, ისე მხვდებოდა, თითქოს რაღაც განსაკუთრებული გამეკეთებინოს...

გულწრფელად ვამბობ, რა შედეგს შეიძლებოდა გაეკვირვებინა სპორტის ნამდვილი ლეგენდა? გასაგებია, რომ ის მოტივაციას გაძლევდა, რათა ყოველთვის მზად ყოფილიყავი ბრძოლისა და გამარჯვებისთვის. ეს კი მხოლოდ დიდ ადამიანებს ხელეწიფებათ...

ალექსანდრე მედვედის სახელობის საერთაშორისო ტურნირებში მონაწილეობა ნებისმიერი რანგის მოჭიდავისთვის ღირსების საქმე იყო. განსაკუთრებით მისი მოწაფეებისთვის. ბედნიერი ვიყავი, როცა ამ ტურნირების გამარჯვებული ვხდებოდი. ის ბავშვივით ხარობდა, რადგან ამას აღიქვამდა მადლიერებისა და პატივისცემის გამოხატულებად.

ალექსანდრე მედვედის გარდაცვალებას მხოლოდ ბელორუსის ოლიმპიური კომიტეტი, ან მარტო ბელორუსი ხალხი როდი განიცდის. სასიქადულო სპორტსმენის ამქვეყნიდან წასვლა საქართველოს ტკივილიცაა და როცა მისამძიმრებენ როგორც მის აღზრდილს, მოწაფეს, ვამბობ: ალექსანდრე მედვედის სახელი უკვდავია!

მადლობა ჩემო უფროსო მეგობარო, ჩემი ოჯახის თითოეული წევრი მოწიწებით ვხრით თავს შენი სახელისა და ხსოვნის წინაშე

**მალხაზ მერმანიშვილი,**
**სპორტის დამსახურებული ოსტატი თავისუფალ ჭიდაობაში.**

# ვერის პარკის განახლება იწყება

**ვერის პარკში სარეაბილიტაციო სამუშაოები იწყება – განაცხადა თბილისის მერმა კახა კალაძემ მუნიციპალიტეტის მთავრობის 4 სექტემბრის სხდომაზე.**

მისივე განმარტებით, ვერის პარკი დაცულია კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ძეგლის სტატუსით და მისი ძირეული გარდაქმნა ან შეცვლა არ იგეგმება.

„ვერის პარკი ერთ-ერთი უძველესი და ისტორიული რეკრეაციული სივრცეა. მეოცე საუკუნის დასაწყისიდან მას გააჩნია როგორც საუბნო, ისე საქალაქო მნიშვნელობა. თავისი ფუნქციური დანიშნულებით ის გათვლილია ნებისმიერი ასაკის ადამიანზე. პროექტის ფარგლებში, განსაკუთრებული ყურადღება მიექცა არსებული გეგმარებისა და აქტივობების შენარჩუნებას, გაუმჯობესებას და ახალი, გარემოსთვის შესაფერისი ფუნქციების ინტეგრაციას. ვერის პარკის რეაბილიტაციის შემდეგ, თბილისს შეემატება კეთილმოწყობილი, თანამედროვე საინჟინრო სისტემებით აღჭურვილი, თანამედროვე რეკრეაციული და გასართობი სივრცე, რომელიც მორგებული იქნება სხვადასხვა ინტერესებისა და ასაკის ნებისმიერ ადამიანზე“, – აღნიშნა კახა კალაძემ.

თბილისის მერის თქმით, პარკს დაემატება სანიაღვრე სისტემა, ხოლო უსისტემო გაყვანილობები შეიცვლება და გრუნტში დაიმალება.

„სარეაბილიტაციო სამუშაოების ფარგლებში, მოეწყობა ორი საბავშვო მოედანი ასაკის მიხედვით - ერთიდან სამ წლამდე და სამიდან – 12 წლამდე ბავშვებისთვის; ასევე, მოეწყობა ძაღლების სასეირნო სივრცე, გარე განათების სისტემა, საფეხმავლო ბილიკები, შადრევანი, სასმელი წყლის სოკოები, საპარკო ავეჯი, მოსასვენებელი პავილიონი, სპორტული მოედანი, საფეხბურთო მოედანი, ბელვედერი, ადმინისტრაციული შენობა და საპირფარეშო. პარკში არსებული მრავალწლოვანი ხე-მცენარეები შენარჩუნდება და ამასთან, გამწვანებული სივრცეებიც გაჩნდება“, – განაცხადა კახა კალაძემ.

აღნიშნული სარეაბილიტაციო სამუშაოები 2025 წლის ბოლომდე დასრულდება.






# რუსულ ჰაკერულ ჯგუფზე ინფორმაციის სანაცვლოდ ჯილდოდ 10 მილიონი დოლარი დააწესეს

**შესაბამისი** ინფორმაცია საქართველოში აშშ-ის ვებგვერდზე გამოქვეყნდა.„აღნიშნული ჰაკერული ჯგუფი დაკავშირებულია რუსულ სახელმწიფო მედიასაშუალება **RT**-სთან და რუსულ სადაზვერვო სამსახურებთან. მისი ხელმძღვანელი რუსეთის ფედერალური უსაფრთხოების სამსახურის (**FSB**) ოფიცერი ალექსეი გარაშჩენკოა.

**RaHDit**-ს აქვს სხვადასხვა ქვეყნის საარჩევნო პროცესში ჩარევის ისტორია. ამასთანავე, კიბერშეწყობილი გავლენის ოპერაციებით, ჯგუფი აღიქმება ჩარევის მცდელობის საფრთხედ აშშ-ის 2024 წლის საპრეზიდენტო არჩევნებში. თუ თქვენ გაქვთ ინფორმაცია **RaHDit**-ის შესახებ, მასთან დაკავშირებული პირებისა და სუბიექტების ან რუსული მთავრობისგან მართულ მცდელობებზე, რომელიც მიზნად ისახავს აშშ-ის არჩევნებში ჩარევას, დაუკავშირდით სახელმწიფო დეპარტამენტს **Signal**-ის, **Telegram**-ის, **WhatsApp**-ის ნომერზე: +1-202-702-7843 ან დაცული ბმულიდან, რომელიც წითლადაა მითითებული პოსტერზე. თქვენმა ინფორმაციამ, შესაძლოა, მოგცეთ ჯილდოსა და საცხოვრებელი ადგილის შეცვლის უფლება“, – აღნიშნულია საელჩოს მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში.



## კრიმინალი

# აეროპორტში არადეკლარირებული საქონელი აღმოაჩინეს

**ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის ინფორმაციით, მებაჟე ოფიცრებმა საბაჟო-გამშვებ პუნქტში ,,თბილისის აეროპორტი“, ეჭვის საფუძველზე, საქართველოს მოქალაქის ფიზიკური და კუთვნილი ბარგის დეტალური დათვალიერების შედეგად, არადეკლარირებული საქონელი, კერძოდ: 10 კილოგრამი ბუნებრივი თმის პროდუქცია აღმოაჩინეს, რომელიც რამდენიმე ათეულ შეკვრად, ცალ-ცალკე იყო აცმული.**

არადეკლარირებული საქონლის საბაჟო ღირებულებამ 24344,98 ლარი შეადგინა.

საქმე, შემდგომი რეაგირების მიზნით, ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურს გადაეცა.

# ბაქო ერევანს ცეცხლის გახსნაში ადანაშაულებს, სომხეთი ბრალდებას უარყოფს

**აზერბაიჯანის თავდაცვის სამინისტრომ გაავრცელა განცხადება, რომლის თანახმადაც, სომხეთის შეიარაღებულმა ძალებმა აზერბაიჯანული არმიის პოზიციებს ქელბაჯარის რაიონის მიმართულებით ცეცხლი გაუხსნა.**

განცხადებაში აგრეთვე აღნიშნულია, რომ სომხურმა შენაერთებმა ცეცხლი ავტომატური იარაღიდან გახსნეს. „აზერბაიჯანული არმიის დანაყოფებმა აღნიშნულ მიმართულებაზე ადეკვატური საპასუხო ზომები მიიღეს“, – აღნიშნეს აზერბაიჯანის თავდაცვის სამინისტროში.

სომხეთის თავდაცვის სამინისტრო, თავის მხრივ, კატეგორიულად უარყოფს აზერბაიჯანული მხარის ბრალდებებს. ერევანში აღნიშნავენ, რომ სომხეთის პრემიერ-მინისტრის აპარატმა არაერთხელ შესთავაზა აზერბაიჯანულ მხარეს საერთო მექანიზმის შექმნა, რომელიც ცეცხლის შეწყვეტის რეჟიმის დარღვევის ფაქტებს შეისწავლის, თუმცა, აზერბაიჯანული მხარე დღემდე დუმს.

# ქალმა ფეხბურთელებმა სექსუალური შევიწროების საქმე მოიგეს



**ქუთაისის სააპელაციო სასამართლომ ძალაში დატოვა პირველი ინსტანციის გადაწყვეტილება და მწვრთნელის მხრიდან სექსუალური შევიწროების ფაქტი დაადგინა“,** – აღნიშნულია **PHR**-ის მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში.

არდავიწყება

# ცხოვრება მისი უანკარეს ღვინის ფერია!

## ვლადიმერ (ვოვა) გვარჯალაძე



**2024 წლის 31 ივლისს 85 წლის ასაკში გარდაიცვალა ვლადიმერ (ვოვა) გვარჯალაძე, დიდი კაცი, ჭეშმარიტი ქართველი.**

ბატონი ოთარ ჭილაძე ბრძანებს, რომ ცხოვრების მანძილზე „ჩვენ ვძერწავთ საკუთარ სახეს იმ დღისთვის, როცა აღარ ვიქნებით“. დიახ, ვოვა გვარჯალაძე იმ ნიჭითა და უნარით, რაც მას განგებამ უხვად დააბერტყა, ათწლეულების მანძილზე ძერწავდა თავისი განუმეორებელი ორგანიზატორული შესაძლებლობით, ადამიანობით კეთილშობილი კაცის სახეს, რაც ქართული საზოგადოების თვალწინ ყალიბდებოდა და დღენიადაგ სიყვარულსა და პატივისცემას იმსახურებდა: ჯერ კიდევ 1972-1977 წლებში იგი ხელმძღვანელობდა მარტვილის რაიონს, შემდეგ წლების მანძილზე იყო საქართველოს მეფრინველეობის მრეწველობის გაერთიანების თავმჯდომარე, საქართველოს უმაღლესი საბჭოს ოთხი მოწვევის დეპუტატი, საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრის პირველი მოადგილე, ვეტერინარულ მეცნიერებათა დოქტორი, აკადემიკოსი და სხვა.

ბატონმა ვოვა გვარჯალაძემ სიყვარულით შექმნა უსათნოეს ქალბატონ ზელა კვირიკაძესთან ერთად ულამაზესი ქართული ოჯახი, სამშობლოს გაუზარდა ბრწყინვალე ქალ-ვაჟი, შემდეგ შვილიშვილები და მოესწრო შვილთაშვილს, მაგრამ შვილის გიას უდროოდ წასვლით გამოწვეული ტკივილი არ განელებია.

გალაკტიონი ამბობს: ,,ცხოვრება ჩემი უანკარეს ღვინის ფერია“, ვის-ვის და ვოვა გვარჯალაძეს შეიძლება მივუსადაგოთ გალაკტიონისეული ეს შეფასება, რადგან მისი ცხოვრების ყველა ნაბიჯი, რომელიც გამოირჩეოდა საქართველოს სიყვარულით, საქმისადმი თავდადებით, ადამიანთა მიმართ ყურადღებით და სიკეთის თესვით, ცნობილი იყო ფართო საზოგადოებისათვის. მხოლოდ ვოვა გვარჯალაძის განუზომლად დიდი ავტორიტეტით უნდა აიხსნას ის უპრეცედენტო მოვლენა, რომ 1979–1990 წლებში, 12 წლის მანძილზე, საქართველოს რესპუბლიკის ხელმძღვანელობის გადაწყვეტილებით, მას მიეცა უფლება, რომ პირველს მიელოცა დამდეგი ახალი წელი საქართველოს ტელევიზიის პირველი არხის მეშვეობით საქართველოს მოსახლეობისათვის.

ბატონმა ვოვა გვარჯალაძემ ღირსეულად იცხოვრა და თავისი მოღვაწეობით ღრმა კვალი დატოვა საქართველოს ისტორიაში, ამიტომაც იგი დამსახურებულად იყო დაჯილდოებული ღირსების ორდენით.

მართლაც რომ, ათას კაცში გამოარჩევდით ვოვა გვარჯალაძეს, ამ ახოვან, ინტელიგენტ, ქართველ დარბაისელ მამაკაცს, რომელიც ყველა სიკეთესთან ერთად ქართული სუფრის უბადლო თამადა იყო.

ბატონი ვოვა გვარჯალაძე დააკლდა ყველას: ოჯახს, ნათესავებს, მეგობრებს და სრულიად საქართველოს, ღმერთმა ნათელში ამყოფოს მისი სული.

**ნუგზარ ბირკაია**

# ქართველი ფერმწერი, რომელმაც ევროპა დაიპყრო

## ალექსანდრე ვაშაყმაძის პერსონალური გამოფენა

**7 სექტემბერს ხელოვნების სასახლეში ახალგაზრდა ქართველი ფერმწერის ალექსანდრე ვაშაყმაძის პერსონალური გამოფენა „EXODUS/გამოსვლა“ გაიმართება.**



ხელოვნების სასახლის ინფორმაციით, ალექსანდრე ვაშაყმაძე ახალგაზრდა ქართველი ფერმწერია, რომელიც დიდი წარმატებით სარგებლობს ევროპის არაერთ ქვეყანაში, სადაც სხვადასხვა პრესტიჟულ გამოფენებსა და ფესტივალებში იღებს მონაწილეობას. თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის დასრულების შემდეგ იგი ხელოვნების სამყაროს აქტიური მოღვაწეა.










**„ხელოვანის შთამბეჭდავი პორტფოლიო მოიცავს არაერთ საინტერესო გამოფენასა თუ ჯილდოს: სამგზის მიწვეულ იქნა ფლორენციის ბიენალეზე, ჰქონდა გამოფენა ლუვრის მუზეუმში, განსაკუთრებული ხელწერითა და ფერების ოსტატური შეზავების დამსახურებით შეძლო დაინტერესება ამსტერდამის ვან გოგის მუზეუმის, სადაც სოციალურ პლატფორმებზე პოპულარიზაცია გაუწიეს მის ნამუშევრებს. მიიწვიეს ლონდონის, ნიუ-იორკისა და იტალიის სხვადასხვა პრესტიჟულ გალერეებსა და მუზეუმებში.**

**მისი ნამუშევრები ინახება კანადის ოქროს კომპანიის Yamana Goldi-ს პირად კოლექციაში, მისმა შემოქმედებამ ასევე შთააგონა ამერიკელი პოეტი, მწერალი – Dean C Garden, რომელმაც მისი ნამუშევრებით გაფორმებული 10-მდე წიგნი გამოსცა“...**

# ხიდი, რომელიც კაცობრიობის ისტორიას ცვლის

**სამხრეთ ფლორიდის უნივერსიტეტის არქეოლოგის პროფესორმა უძველეს გამოქვაბულში აღმოაჩინა 5600 წლის წინანდელი ქვის ხიდი, რომელიც ამტკიცებს, რომ ადამიანები კუნძულ მაიორკაზე ბევრად უფრო ადრე იმყოფებოდნენ, ვიდრე ეგონათ, წერს Interestengineering.**

გამოცემა აღნიშნავს, რომ ეს აღმოჩენა შეცვლის ყველაფერს, რაც გვეგონა და ვიცოდით დასავლეთ ხმელთაშუა ზღვის კაცობრიობის ადრეული ისტორიის შესახებ.



**„ეს კითხვა ათწლეულების განმავლობაში აწუხებდა არქეოლოგებს. ლოგიკურად, მატერიკთან ასე ახლოს ყოფნისას, სანაპიროზე ადამიანთა დასახლების პირველი ნიშნები მაიორკაზე უნდა ყოფილიყო. მაგრამ პატარა კუნძულები უფრო შორს მდებარე ზღვაზე მიუთითებს იმაზე, რომ ხალხმა გვერდი აუარა ამ კუნძულს.**

**უძველესი ხიდი მაიორკას სანაპიროზე არის პირველი დამაჯერებელი მტკიცებულება კაცობრიობის ისტორიის ამ თავსატეხში, რომელიც მიუთითებს იმაზე, რომ უძველესი წინაპრები ცხოვრობდნენ კუნძულ მაიორკაზე და აჩვენებს, თუ რამდენად მოწინავეები იყვნენ ისინი“,**– ამბობენ მეცნიერები.

კვლევაში ნათქვამია, რომ ქვის ბილიკი და კედელი მიდის ხიდამდე, რომელიც ერთხელ წყალქვეშა ტბაზე გადადიოდა.

# აჭარაში ფრინველებს აკვირდებიან

**აჭარის** ტურიზმის დეპარტამენტის ინფორმაციით, 19-22 სექტემბერს ბათუმში ფრინველებზე დაკვირვების საერთაშორისო ფესტივალი გაიმართება. ფესტივალის ფარგლებში, რეგიონს ქართველი და უცხოელი ექსპერტები, ფრინველებზე დამკვირვებლები სხვადასხვა ქვეყნიდან ეწვევიან. მათი ჩართულობით დაინტერესებული მხარეებისთვის გაიმართება ლექცია-სემინარები, ასევე გასართობ-შემეცნებითი ექსკურსიები ფრინველებზე დაკვირვებისთვის მნიშვნელოვან ტერიტორიებზე – ჭოროხის დელტა, სოფელი ჩაისუბანი, სოფელი სახალვაშო, ბათუმის ზღვისპირა პარკი, ნავსადგური და კოლხეთის ეროვნული პარკი. პლატფორმებსა და ფრინველებზე დაკვირვების ლოკაციებზე ორგანიზებული გასვლა ტრანსპორტით, ჭოგრიტებითა და გიდით იქნება უზრუნველყოფილი. მასზე დასწრების მსურველებმა წინასწარი რეგისტრაცია ფესტივალის ვებგვერდზე https://batumibirdfest.com/ka უნდა გაიარონ.

**უცხოური ვალუტის კურსი:**
**აშშ დოლარი - 2.6956; ევრო - 2.9792;**
**ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 3.5350;**
**100 რუბლი - 3.0089; თურქული ლირა - 0.0792;**
**აზერბაიჯანული მანათი - 1.5850;**
**1000 სომხური დრამი - 6.9564.**

საქართველოს რესპუბლიკა
www.sak.ge • ელ. ფოსტა: sak@sak.ge

გამომცემელი და მთავარი რედაქტორი
**სპარტაკ ქობულია**
(599-36-00-35);

რედაქტორის მოადგილე
**მამუკა ვაშაკიძე**
(597-22-07-04),

შემოქმედებითი ჯგუფი:
**ალეკო ასლანიშვილი,**
**თემურ ქორიძე,**
**ოთარ ტურაბელიძე,**
**გია პლატონიშვილი,**

პიარისა და მარკეტინგის მენეჯერი
**რუსუდან ქობულია**
(577-77-27-17),

სტილისტ-კორექტორები:
**ნაირა კეკელია,**
**მაია იორამაშვილი.**

ოპერატორი
**შორენა გვილია.**

დამკაბადონებელი
**გიორგი მახარაშვილი.**

გაზეთის განახლებული ლოგოს ავტორი
**გიორგი ნადარეიშვილი**

**მისამართი:**
თბილისი. აკაკი წერეთლის N116

**წერილები გამოგზავნეთ ელექტრონულ მისამართზე:**
sak@sak.ge

გაზეთი დამოუკიდებელია და ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით. რედაქციის აზრი, შესაძლოა, არ ემთხვეოდეს ავტორთა მოსაზრებებს.

ფაქტების სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი.
საავტორო უფლებები დაცულია. რედაქცია პასუხს არ აგებს სოციალური ქსელიდან და სხვა მედია-საშუალებებიდან გადმობეჭდილ, ან უცხოური პრესიდან თარგმნილი მასალების, ფაქტების, ინფორმაციის სიზუსტეზე, აგრეთვე სარეკლამო განცხადებების შინაარსსა და სტილზე.

იბეჭდება სტამბა
**,,კოლორში“**
ე. ბაღდავაძის №3

კოლორ ჯგუფი

UAC(უაკ)070.4(479.22)
C–323
2 009882 616932

რეკლამისთვის დარეკეთ:
**577-77-27-17**
rkobulia29@gmail.com
ანგარიშის ნომერი
GE90BG0000000538329790

**გაზეთის მომდევნო ნომერი გამოვა ორშაბათს, 9 სექტემბერს**